


საქართველოს სახალხო დამცველთან აკსეზული

# ჩელოგოიოთა საბჭოს ჩეკოგენდეაციები

2020



გამოცემულია სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული, საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) თვალსაზრისს.

სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოს საქმიანობას მხარს უჭერს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული, საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) «ტოლერანტობის, „სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა“ (PITA).



საქართველოს სახალხო დამცველთან აკსეზუდი

# ჩედიგოიბა სობჟოს ჩეკომენდაციები

2020

**ექსპერტები:**

მარიამ ლავთაძე, გიორგი გოციროძე, ნინო ცინცაძე, თამთა მიქელაძე

**რედაქტორი:**

ბეკა მინდიაშვილი

**თარგმანი:**

თამარ გოგუაძე

**კორექტორი:**

თამარ შაიშველაშვილი

**დიზაინი/დაკაბდონება:**

გურამ მურადოვი

## სარჩევი:

1. რელიგიის თავისუფლების საკანონმდებლო რეგულირება.....	9
2. შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაული .....	22
3. სახელმწიფო პოლიტიკა რელიგიის თავისუფლების სფეროში .....	26
4. საკუთრებასა და ქონებასთან დაკავშირებული პრობლემები .....	34
5. საზღვრის კვეთა და რელიგიური ლიტერატურის შემოტანა.....	41
6. პოლიცია ეთნიკური/რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.....	43
7. განათლება .....	45
8. მრავალფეროვნების ასახვა, სიძულველის ენა, ანტიდასავლური პროპაგანდა და მედიის როლი .....	52

## საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭო

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭო 2005 წლის 21 ივნისს დაარსდა. რელიგიათა საბჭო საქართველოში რელიგიური კონფესიების ყველაზე ფართო ფორუმს წარმოადგენს. ამჟამად მისი წევრია 32 რელიგიური გაერთიანება.

საბჭოს საქმიანობის ამოსავალი პრინციპებია რელიგიის თავისუფლების დაცვა, რელიგიურ ჯგუფებს შორის მრავალმხრივი დიალოგის წახალისება, ტოლერანტული და თანასწორუფლებიანი, მშვიდობიანი გარემოს დამკვიდრებაზე ზრუნვა, სოციალური პასუხისმგებლობის ერთობლივი გაზიარება, სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდაჭერა.

რელიგიათა საბჭო, ერთი მხრივ, სახალხო დამცველის საკონსულტაციო ორგანოა, ხოლო, მეორე მხრივ, იგი თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან, მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციასთან.

რელიგიათა საბჭომ სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობის შედეგად, წლების განმავლობაში, არაერთ საკვანძო მნიშვნელობის წარმატებას მიაღწია, რომელთა შორისაა რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის არსებული კანონმდებლობის შემოღება და საქართველოს კონსტიტუციაში რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის პირობების შემცირება;

საბჭოს საქმიანობის შინაარსს მისი წევრები დამოუკიდებლად განისაზღვრავენ. რელიგიათა საბჭოს სხდომებზე რელიგიურ გაერთიანებათა წინაშე არსებული სირთულეები და მათი გადალახვის გზები განიხილება.

საბჭო აგრეთვე ცდილობს გამოეხმაუროს საზოგადოებრივ პრობლემებს და პერიოდულად რეკომენდაციებს სთავაზობს ხელისუფლებას. რელიგიათა საბჭოში გადაწყვეტილებები, წევრთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, დემოკრატიული დისკუსიების შედეგად მიიღება.

რელიგიათა საბჭოს საქმიანობას კოორდინაციას უწევს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი.

## სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები

**1.** საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს წევრი რელიგიური გაერთიანებები ვეყრდნობით და ამოვდივართ 2005 წელს საბჭოს შექმნისა და მოქმედების დეკლარირებული საფუძვლებიდან და მიზნებიდან:

ვითვალისწინებთ რა საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულებებით გამყარებულ რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის სამართლებრივ ნორმებს,

ვხელმძღვანელობთ რა სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნის პრინციპით, რაც საქართველოს კონსტიტუციითაა გარანტირებული;

ჩვენ-ჩვენი რელიგიური მოძღვრებებიდან და ხსენებული საკანონმდებლო ნორმებიდან გამომდინარე, მივისწრაფვით საქართველოში მშვიდობიანი, ტოლერანტული, თანასწორუფლებიანი გარემოს განვითარებისკენ;

ყოველივე აქედან გამომდინარე, მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებასა და მედიას შესაბამისი რეკომენდაციებითა და წინადადებებით.

**2.** რელიგიათა საბჭოს წინამდებარე რეკომენდაციები გამოხატავს წევრი რელიგიური გაერთიანებების კონსოლიდირებული ძალისხმევის შედეგად შემუშავებულ საერთო ხედვას იმის თაობაზე, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რათა:

- განვითარდეს ტოლერანტული გარემო,
- სრულფასოვნად იყოს დაცული რელიგიის თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა,
- უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოს რელიგიური ნეიტრალობა.

შემოთავაზებული რეკომენდაციების დოკუმენტი სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს, სახალხო დამცველის თანამშრომლების, ასევე, ამ სფეროში მოღვაწე ექსპერტების ხანგრძლივი მუშაობის შედეგია, რომელშიც აისახა რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის კუთხით არსებული სისტემური და კონკრეტული პრობლემები, მათი გადაჭრისა და დაძლევის გზები.

2020 წლის რეკომენდაციების ნუსხას წინ უძღოდა რელიგიათა საბჭოს 2012 წლისა და 2017 წლის რეკომენდაციები, რომელთა გარკვეული ნაწილი სახელმწიფოსა და მედიის მიერ შესრულებულად შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა კვლავაც განუხორციელებელი რჩება დიდი ჩამონათვალი რეკომენდაციებისა, რომლებსაც წინამდებარე დოკუმენტში თვისობრივად ახალი პრობლემებისა და წინადადების სია დაემატა.



სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოს 2020 წლის რეკომენდაციებმა მოიცვა შემდეგ საკითხები:

1. რელიგიის თავისუფლების საკანონმდებლო რეგულირება;
2. შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაული;
3. რელიგიის თავისუფლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა;
4. საკუთრებასა და ქონებასთან დაკავშირებული საკითხები;
5. საზღვრის კვეთა და რელიგიური ლიტერატურა;
6. პოლიცია ეთნიკური/რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში;
7. განათლება;
8. მრავალფეროვნების ასახვა, სიძულვილის ენა, ანტიდასავლური პროპაგანდა და მედიის როლი.

**3.** რელიგიათა საბჭო ითვალისწინებს და თავის ხმას უერთებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის, ასევე რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის რეკომენდაციებს საქართველოს მიმართ, რომლებშიც აღწერილი პრობლემების გადასაჭრელად საგანგებოდაა ხაზგასმული რელიგიათა საბჭოსა და საქართველოს მთავრობის აქტიური კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა.

- » ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი მოუწოდებს ხელისუფლებას, მიიღოს ზომები რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და რელიგიათა საბჭოს შორის თანამშრომლობის გასაღრმავებლად, რელიგიური შეუწყნარებლობის დაძლევის მიზნით.<sup>1</sup>
- » რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია (ECRI) იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გაზარდოს თავისი მხარდაჭერა რელიგიათა საბჭოს მიმართ, რომელიც სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ეგიდით საქმიანობს. კერძოდ, ხელისუფლებამ უნდა დაავალოს ახალშექმნილ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, რომ ითანამშრომლოს რელიგიათა საბჭოსთან და გამოიყენოს მისი გამოცდილება და რეკომენდაციები რელიგიური შეუწყნარებლობის პრობლემის მოსაგვარებლად.<sup>2</sup>

1. Council of Europe, H46-8 Identoba and Others group v. Georgia (Application No. 73235/12), Supervision of the execution of the European Court's judgments, 25 September 2019, available at: [https://hudoc.exec.coe.int/eng#f{%22EXECIdentifier%22:\[%22CM/Del/Dec\(2019\)1355/H46-8E%22\]}](https://hudoc.exec.coe.int/eng#f{%22EXECIdentifier%22:[%22CM/Del/Dec(2019)1355/H46-8E%22]})

2. ECRI, Conclusions on the implementation of the recommendations in respect of Georgia, Subject to interim follow-up, Adopted on 5 December 2018, available at: <https://rm.coe.int/ecri-conclusions-on-the-implementation-of-the-recommendations-in-respe/1680934a7e>

ვიმედოვნებთ, რომ სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციებს საქართველოს მთავრობა განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდება და მათი განხორციელებით საქართველოში ტოლერანტობის კულტურის განვითარებაში, რელიგიის თავისუფლების დაცვასა და თანასწორუფლებიანობის დამკვიდრებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.



## 1. რელიგიის თავისუფლების საკანონმდებლო რეგულირება

საქართველოს კანონმდებლობა რწმენისა და რელიგიის თავისუფლებას მაღალი სტანდარტით უზრუნველყოფს. კონსტიტუცია მიჯნავს რელიგიასა და სახელმწიფოს, იცავს ყველა ადამიანის რწმენის, რელიგიისა და სინდისის თავისუფლებას. ასევე დაცულია გამოხატვის, აზრის, გაერთიანების თავისუფლება და დაუშვებელია დისკრიმინაცია, მათ შორის რელიგიის ნიშნით.

საქართველოში არ მოქმედებს სპეციალური კანონი რელიგიისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ - რელიგიური გაერთიანებების უფლებამოსვლები და საქმიანობა დარეგულირებულია სხვადასხვა კანონით.

არადომინანტურ რელიგიურ გაერთიანებებს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებით, უთანასწორო პირობებში აყენებს სხვადასხვა კანონში არსებული დისკრიმინაციული ნორმები, რომელთა აღმოფხვრას რელიგიური გაერთიანებები წლებია ითხოვენ სახელმწიფოსგან.

რელიგიის თავისუფლებასა და თანასწორუფლებიანობასთან დაკავშირებით, 2018 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უმნიშვნელოვანესი და პრეცედენტული გადაწყვეტილებები მიიღო. სასამართლომ რელიგიური ორგანიზაციების ორი სარჩელი დააკმაყოფილა და არაკონსტიტუციურად ცნო საგადასახადო კოდექსისა და სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის ნორმები, რომლებიც არათანაბარ პირობებს ქმნიდა რელიგიური ორგანიზაციებისათვის.<sup>3</sup> სასამართლომ რელიგიური ორგანიზაციების თანასწორუფლებიანობასთან და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლთან დაკავშირებითაც განმარტა, რომ „დიფერენცირება და [მართლმადიდებელი] ეკლესიისთვის სამართლებრივად უპირატესი მდგომარეობის შექმნა არ არის და არ შეიძლება იყოს კონსტიტუციის მიზანი“.

რელიგიათა საბჭოს წევრ გაერთიანებებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ იმ სისტემური პრობლემების მიზეზი, რომლებსაც საქართველოში არადომინანტური რელიგიური ჯგუფები აწყდებიან, არის პოლიტიკური ნების არარსებობა ან/და არასწორი, დისკრიმინაციული პოლიტიკა და არ უკავშირდება საკანონმდებლო რეგულირების ნაკლებობას. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში, საქართველოს ხელისუფლებამ არაერთხელ გამოხატა რელიგიური გაერთიანებების საქმიანობისა და რელიგიის თავისუფლების შემზღუდავი კანონმდებლობის მიღების სურვილი.

2019 წელს აქტიურად განიხილებოდა რელიგიისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ სპეციალური კანონის მიღების ან სხვადასხვა კანონში

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებები: კონსტიტუციური სარჩელები №671 და №811

ახალი რეგულაციების დამატების საკითხი. მსგავსი კანონის მიღებას რელიგიათა საბჭოს წევრი ორგანიზაციების უმრავლესობა არ ემხრობა და მიიხნევს, რომ ის რელიგიური გაერთიანებების საქმიანობაში არამართლზომიერი ჩარევის, - უფრო მეტად კი, იერარქიზაციისა და დისკრიმინაციის, - მაღალ რისკს შეიცავს.

უკანასკნელ წლებში რელიგიისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის არაერთ მცდელობას ჰქონდა ადგილი. პარლამენტს წარედგინა რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივა ე.წ. რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის წესით დასჯადობის შესახებ. რელიგიათა საბჭო მიიხნევს, რომ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის კრიმინალიზაცია, ან რაიმე სახით მისი დასჯის დაკანონება საფრთხეს შეუქმნის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, პრობლემატურს გახდის პლურალიზმსა და უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ფართო დისკუსიის შესაძლებლობას, იქნება კრიტიკული აზრის წინააღმდეგ გამოყენებული ინსტრუმენტი.<sup>4</sup>

2017 წელს საქართველოს ხელისუფლებამ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების გაუმართლებელი და ბუნდოვანი საფუძვლებით შეზღუდვა სცადა. კონსტიტუციის მუხლს, რომელიც რწმენისა და რელიგიის თავისუფლებას უზრუნველყოფს, დაემატა უფლებაში ჩარევის ისეთი საფუძვლები,<sup>5</sup> რომლებიც არ შეესაბამება საერთაშორისო ნორმებს და სახელმწიფოს მხრიდან უფლებაში არამართლზომიერი ჩარევის მაღალ რისკს წარმოშობს. რელიგიათა საბჭოს, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების კრიტიკული შეფასებების შედეგად, პარლამენტმა რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის პრობლემური საფუძვლები ამოიღო კონსტიტუციიდან.

## 1.1 რელიგიისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ კანონის ინიციატივა

**პრობლემა:** უკანასკნელ პერიოდში, სხვადასხვა ფორმატში, არაერთხელ წამოიჭრა რელიგიისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ სპეციალური კანონის მიღების საკითხი. 2019 წლის იანვარში, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ინიციატივით, შეიქმნა რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფი. მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი იყვნენ; რელიგიური გაერთიანებების, სახალხო დამცველის, არასამთავრობო

4. იხ. რელიგიათა საბჭოს განცხადება „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის“ კანონპროექტზე: [http://tolerantoba.ge/index.php?news\\_id=937](http://tolerantoba.ge/index.php?news_id=937)

5. კონსტიტუციის მე-16 მუხლს, რომელიც რწმენისა და რელიგიის თავისუფლებას უზრუნველყოფს, დაემატა „სახელმწიფო უსაფრთხოება“, „დანაშაულის თავიდან აცილება“ და „მართლმსაჯულების განხორციელება“, როგორც რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძვლები.

და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრებში აქტიურად მონაწილეობდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. 2019 წლის იანვარ-მაისში სამუშაო ჯგუფის ხუთი შეხვედრა გაიმართა. სახელმწიფოს მხრიდან დიალოგის მსგავსი მრავალმხრივი ფორმატის შექმნა უდავოდ დადებით შეფასებას იმსახურებს. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ჯგუფის შექმნის მიზნად რელიგიური გაერთიანებებისგან პრობლემების მოსმენა და მათი გადაჭრის გზებზე მსჯელობა დაასახელა, საქართველოს პარლამენტში გამართულ შეხვედრებზე ერთ-ერთ მთავარ საკითხად სწორედ რელიგიისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ სპეციალური კანონის მიღება, ან სხვადასხვა კანონში ახალი რეგულაციების დამატება განიხილებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, რელიგიათა საბჭომ ერთობლივი პოზიცია შეიმუშავა და განცხადება 2019 წლის 1 თებერვალს გამართული სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მონაწილეებს გააცნო. საბჭომ განაცხადა, რომ კანონის მიღება რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების თანასწორუფლებიანობის შეზღუდვის არაერთ რისკს შეიძლება შეიცავდეს. რელიგიათა საბჭომ არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოში რელიგიასთან დაკავშირებული კანონმდებლობა მეტ-ნაკლებად სრულყოფილია და რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობა დამატებით რეგულირებას არ საჭიროებს. მიგვაჩნია, რომ რელიგიისა და რელიგიური გაერთიანებების რაობის განსაზღვრა არ უნდა შედიოდეს სახელმწიფოს პრეროგატივაში. გარდა ამისა, მსგავსი დეფინიციის არსებობა შეიცავს მაღალ რისკს, სახელმწიფომ მოახდინოს რელიგიური გაერთიანებების იერარქიზაცია და დაყოფა სხვადასხვა ნიშნით, შეუზღუდოს ამა თუ იმ რელიგიურ გაერთიანებას საქმიანობა და/ან არსებობა.

უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის დღეს მოქმედი წესი მისაღებია რელიგიური გაერთიანებების აბსოლუტური უმრავლესობისათვის. რელიგიურ გაერთიანებებს, სურვილისამებრ, შესაძლებლობა აქვთ, დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, ან იარსებონ რეგისტრაციის გარეშე. კანონმდებლობა არ ზღუდავს რელიგიურ გაერთიანებას ისეთი კრიტერიუმებით, როგორც არის მრევლის რაოდენობა, რელიგიური ჯგუფის არსებობის ხანგრძლივობა, დაყოფა ტრადიციულ და არატრადიციულ ჯგუფებად და სხვა. არსებული წესის შეცვლა და დამატებითი კრიტერიუმების დადგენა წარმოშობს რისკს, სახელმწიფო არამართლზომიერად ჩაერიოს ამა თუ იმ რელიგიური გაერთიანების საქმიანობაში და შეუზღუდოს მას ფუნქციონირება.

მშენებლობასთან და მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით დღეს მოქმედი კანონმდებლობა ამომწურავი და ლიბერალურია. კანონმდებლობა რელიგიური დანიშნულების ნაგებობების მშენებლობისთვის არ ითვალისწინებს სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმს, რაც რელიგიურ ორგანიზაციებს შესაძლებლობას აძლევს, იმოქმედონ კანონის ფარგლებში

და, ამავდროულად, დამატებითი ბიუროკრატიული და შემზღუდველი პროცედურების გარეშე, ააშენონ რელიგიური ნაგებობა. პრობლემებს კი, რომლებსაც არადომინანტური რელიგიური ჯგუფები მშენებლობის ნებართვის პროცესში აწყდებიან, ქმნის სახელმწიფოს მიერ ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებები და დისკრიმინაციული პრაქტიკა. რელიგიური დანიშნულების ნაგებობის მშენებლობისათვის სპეციალური საკანონმდებლო რეგულირების დაწესება კი ამ დისკრიმინაციულ პრაქტიკას უფრო გააღრმავებს.

### **რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტს და მთავრობას:**

- » საკანონმდებლო პროცესში გათვალისწინებული და შეფასებული იყოს რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის შეზღუდვასთან დაკავშირებული ყველა რისკი, თანამდევ საფრთხეების გათვალისწინებით კი, რელიგიისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ სპეციალური კანონის მიღება არ დადგეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დღის წესრიგში;
- » საქართველოს პარლამენტმა იხელმძღვანელოს კონსტიტუციით დაცული რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებით და არ მოახდინოს სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში იმგვარი ცვლილებების ინიცირება, რაც დამატებით რეგულირებასა და შეზღუდვას დაუწესებს რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას. მათ შორის:

- 1.1. თავი შეიკავოს რელიგიისა და რელიგიური ორგანიზაციის დეფინიციისგან;
- 1.2. თავი შეიკავოს რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის დღეს მოქმედი წესის ცვლილებისაგან;
- 1.3. თავი შეიკავოს მშენებლობასთან და მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით დღეს მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებისაგან და რელიგიური ორგანიზაციებისათვის სპეციალური სამშენებლო რეგულაციების დაწესებისაგან.

**პრობლემა:** 2019 წელს დღის წესრიგში დადგა არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების სასულიერო პირებისათვის სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების უფლების შეზღუდვის საკითხი. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვითაც სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში უნდა გაუქმდებულყო ის ნორმა, რომელიც სასულიერო პირებს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის გადავადების უფლებას ანიჭებს. ეს უფლება

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმებითაც აქვთ მინიჭებული. შესაბამისად, სამხედრო სამსახურის შესახებ კანონში ნორმის გაუქმება ამ უფლებას ყველა რელიგიური გაერთიანების სასულიერო პირს შეუზღუდავდა, - გარდა მართლმადიდებელი ეკლესიისა. საკანონმდებლო ინიციატივის ავტორები განიხილავდნენ, ასევე, სასულიერო პირის დეფინიციის საკითხსაც. მიგვაჩნია, რომ სასულიერო პირის ცნების განსაზღვრა არ უნდა იყოს სახელმწიფოს კომპეტენცია; ამავდროულად, შესაძლოა, წარმოიშვას თვითნებობისა და რელიგიურ საქმიანობაში არამართლზომიერი ჩარევის რისკები.

### **საქართველოს პარლამენტს და მთავრობას:**

- » სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ კანონში არ შევიდეს ცვლილება, რომლითაც სასულიერო პირებისთვის გაუქმდება სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის გადავადების უფლება;
- » კანონმდებელმა არ განსაზღვროს სასულიერო პირის ცნება.

## **1.2 სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული დისკრიმინაციული კანონმდებლობა**

**პრობლემა:** არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონების შეძენის კანონმდებლობა დისკრიმინაციულია. საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას აძლევს უფლებას, იყოს სახელმწიფო ქონების შემძენი როგორც სასყიდლით, ისე უსასყიდლოდ. იგივე სამართლებრივი სტატუსის მქონე სხვა რელიგიური გაერთიანებები კი მსგავსი უფლებით ვერ სარგებლობენ. რელიგიური გაერთიანებები მრავალი წელია ითხოვენ საქართველოს კანონმდებლობაში არსებული უთანასწორობის აღმოფხვრასა და დისკრიმინაციული გარემოს შეცვლას, რაც სისტემატურად აისახებოდა საქართველოს სახალხო დამცველის<sup>6</sup>, სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს,<sup>7</sup> საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშებსა და რეკომენდაციებში. 2016 წელს სახელმწიფო ქონების კანონში არსებული დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით, რელიგიურმა გაერთიანებებმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს. 2018 წლის 3 ივლისის მნიშვნელოვანი და პრეცედენტული გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა რელიგიური გაერთიანებების სარჩელი; დაადგინა, რომ სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის მე-6 მუხლი დისკრიმინაციულია, რადგან

6. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშები: <http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi>

7. იხ. რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები: [http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619908&sub\\_id=1345202134](http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619908&sub_id=1345202134)

იგი სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემას უშვებს მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, იმავე სამართლებრივი სტატუსის სხვა რელიგიური გაერთიანებები კი მსგავსი უფლებით ვერ სარგებლობენ.<sup>8</sup> სასამართლომ აღნიშნული მუხლის ნორმატიული შინაარსი არაკონსტიტუციურად გამოაცხადა და საქართველოს პარლამენტს მისცა გონივრული, ექვსთვიანი ვადა (2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით), კანონში შესაბამისი ცვლილებების შესატანად. მიუხედავად ამისა, საქართველოს პარლამენტმა დადგენილ ვადაში არ შეცვალა დისკრიმინაციული კანონმდებლობა.

ზზგასასმელია, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტება რელიგიური ორგანიზაციების თანასწორუფლებიანობასთან დაკავშირებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ რელიგიური გაერთიანებები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ სახელმწიფოში რელიგიის თავისუფლების უზრუნველსაყოფად. მათი უმთავრესი მიზანი რელიგიური საქმიანობის განხორციელებაა, რისთვისაც მნიშვნელოვანია მათ საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება. აქედან გამომდინარე, ყველა რელიგიურ ორგანიზაციას თანაბრად აქვს სახელმწიფო ქონების მიღებისა და რელიგიური მიზნებისთვის გამოყენების ინტერესი. ამიტომ შესაძარბეელი პირები - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და სხვა რელიგიური გაერთიანებები - არსებითად თანასწორი პირები არიან.

სასამართლომ მართლმადიდებელი ეკლესიის როლზეც ისაუბრა და განმარტა, რომ ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარება დაკავშირებულია მის ისტორიულ ღვაწლთან და არ ემსახურება მისთვის პრივილეგირებული სამართლებრივი მდგომარეობის შექმნას აწმყოში. დიფერენცირება და სამართლებრივად უპირატესი მდგომარეობის შექმნა არ არის კონსტიტუციის თვითმიზანი.<sup>9</sup> სახელმწიფო ქონების შესახებ კანონში არსებული დისკრიმინაციული ნორმების საფუძველზე, არადომინანტური რელიგიური ორგანიზაციები მოკლებულნი არიან უფლებას, სასყიდლით ან უსასყიდლოდ მიიღონ სახელმწიფო ქონება, ასევე, საკუთრების უფლებით ფლობდნენ იმ ისტორიულ ქონებას, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სახელმწიფოს ბალანსზე ირიცხება. კანონის თანახმად, პრივატიზებას არ ექვემდებარება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული რელიგიური და საკულტო ნაგებობები. აღნიშნული საკითხი პრობლემურია საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების ისტორიული მესაკუთრეებისთვის დაბრუნების თვალსაზრისითაც. ჩამორთმეული ისტორიული ქონების დიდი ნაწილი დღეს სახელმწიფოს საკუთრებაა, რომელიც დაბრუნებას (გარდა იმისა, რომ არ არსებობს სახელმწიფოს ნება) აბრკოლებს დისკრიმინაციული კანონმდებლობაც.

8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება, რელიგიური ორგანიზაციების კონსტიტუციური სარჩელი №811.

9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის №811 გადაწყვეტილება, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 10, 24.



მსგავსი ქონების საკუთრების უფლებით ფლობა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, სახელმწიფოს და ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის საფუძველზე.

### **საქართველოს პარლამენტს:**

- » გაიზაროს და მხედველობაში მიიღოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ დისკრიმინაცია დაადგინა და არაკონსტიტუციურად ცნო სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის ნორმა; გაითვალისწინოს სასამართლოს მსჯელობა რელიგიური ორგანიზაციების თანასწორუფლებიანობასთან დაკავშირებით;
- » შეიცვალოს სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილების შესაბამისად და სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის უფლება თანაბრად გავრცელდეს ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე - როგორც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე, ისე საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით რეგისტრირებულ ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე;
- » შეიცვალოს სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი და სახელმწიფო ქონების შექმნის უფლება თანაბრად გავრცელდეს ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე - როგორც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე, ისე საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით რეგისტრირებულ ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე;
- » შეიცვალოს სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის მე-3 მუხლის მეორე პუნქტი და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების უფლება სასყიდლით და უსასყიდლოდ თანაბრად გავრცელდეს ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე - როგორც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე, ისე საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით რეგისტრირებულ ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე;
- » შეიცვალოს სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის მე-3 მუხლის მეტოფე პუნქტი და ქონების გაცვლის უფლება თანაბრად გავრცელდეს ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე - როგორც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე, ისე საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით რეგისტრირებულ ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე;



- » გაუქმდეს სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით პრივატიზებას არ ექვემდებარება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული რელიგიური და საკულტო ნაგებობები (მოქმედი და უმოქმედო), მათი ნანგრევები, აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც ისინია განთავსებული.

### 1.3. დისკრიმინაციული საგადასახადო კანონმდებლობა

**პრობლემა:** წლების განმავლობაში პრობლემად რჩება რელიგიური გაერთიანებების მიმართ არსებული უთანასწორო საგადასახადო რეჟიმი. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, ზოგიერთი გადასახადის ნაწილში, ითვალისწინებს შეღავათებს მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, ხოლო ყველა სხვა რელიგიურ გაერთიანებას იგივე გადასახადის ვალდებულება ეკისრება. დისკრიმინაციული საგადასახადო კანონმდებლობის შესახებ არაერთი წელია საუბრობენ: რელიგიათა საბჭო,<sup>10</sup> სახალხო დამცველი,<sup>11</sup> ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები.

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2016 წლიდან აკისრებს ვალდებულებას სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, უზრუნველყოს დისკრიმინაციული კანონმდებლობის აღმოსაფხვრელად შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება, მათ შორის უთანასწორო საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით.<sup>12</sup> მიუხედავად ამისა, სააგენტოს ამ კუთხით საკანონმდებლო ინიციატივა არ მოუმზადებია.

2015 წელს რვა რელიგიურმა გაერთიანებამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა და მოითხოვა საქართველოს საგადასახადო კოდექსის დისკრიმინაციული ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა. 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა რელიგიური გაერთიანებების სარჩელი და დისკრიმინაციულად მიიჩნია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, რომელიც ჩათვლის უფლების გარეშე დამატებული ღირებულების გადასახადისაგან ათავისუფლებს მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობას,

10. იხ. რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები: [http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619908&sub\\_id=1345202134](http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619908&sub_id=1345202134)

11. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშები: <http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi>

12. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2016-2017 წლებისათვის, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის № 338 დადგენილებით.

რესტავრაციას და მოხატვას.<sup>13</sup> სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმა საშუალებას აძლევს საპატრიარქოს, სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან შედარებით, უკეთეს პირობებში, ნაკლებ ფასად შეიძინოს მომსახურება, რაც დიფერენცირებულ მოპყრობას წარმოადგენს.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ისტორიაში მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარების მიზანი არ არის მართლმადიდებლობის, როგორც რელიგიური რწმენის, უპირატესობის წარმოჩენა სხვა რელიგიებთან შედარებით და არ ემსახურება მისთვის პრივილეგირებული სამართლებრივი მდგომარეობის შექმნას აწმყაში.<sup>14</sup> მიუხედავად ამისა, საქართველოს პარლამენტმა დადგენილ ვადაში არ შეცვალა დისკრიმინაციული საგადასახადო კანონმდებლობა. ამასთანავე, გარდა იმისა, რომ არსებული საგადასახადო რეჟიმი დისკრიმინაციულია,

ის მნიშვნელოვან ფინანსურ ტვირთად აწევს არადომინანტურ რელიგიურ ორგანიზაციებს.

### საქართველოს პარლამენტს:

- » შეიცვალოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, რომელიც დამატებული ღირებულების გადასახადისგან ათავისუფლებდა მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობას, რესტავრაციას და მოხატვას. აღნიშნული ნორმა საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო, ხოლო ვინაიდან საქართველოს პარლამენტმა მასში ცვლილებები არ განხორციელა, ნორმა ძალადაკარგულად გამოცხადდა. ახალი ფორმულირების შემდეგ, უფლება თანაბრად გავრცელდეს ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე - როგორც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე, ისე საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით რეგისტრირებულ ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე;
- » შეიცვალოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი, რომელიც დამატებული ღირებულების გადასახადისგან ათავისუფლებს მხოლოდ საპატრიარქოს, მის მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდებისას, თუ ისინი გამოიყენება რელიგიური მიზნით. აღნიშნული საგადასახადო შეღავათი თანაბრად გავრცელდეს ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე

13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება, რელიგიური ორგანიზაციების კონსტიტუციური სარჩელი №671.

14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის №671 გადაწყვეტილება, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 9, 34, 35.

- როგორც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე, ისე საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით რეგისტრირებულ ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე;

- » შეიცვალოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლი, რომელიც მოგების გადასახადისგან ათავისუფლებს მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს, რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგების დროს. ეს უფლება თანაბრად გავრცელდეს ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე - როგორც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე, ისე საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით რეგისტრირებულ ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე;
- » საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ეკლესიის არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისგან. საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლები არ ითვალისწინებს სხვა რელიგიური გაერთიანებების გათავისუფლებას მიწის გადასახადისაგან, რაც უთანასწორობას ქმნის. რელიგიური ორგანიზაციების არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონების (მიწის) გადასახადისგან გათავისუფლება თანაბრად გავრცელდეს ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე - როგორც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე, ისე საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით რეგისტრირებულ ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე;
- » ზემოხსენებულ მუხლებში არსებული ჩამონათვალი შეიცვალოს ნეიტრალური შინაარსის ტერმინოლოგიით, რომელიც თანაბრად გავრცელდება ყველა რელიგიურ გაერთიანებაზე. მაგალითად, „ეკლესია“ შეიცვალოს რელიგიური დანიშნულების ნაგებობით.
- » საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ეკლესიის მიერ საღვთისმსახურო პროდუქციის შემოტანა და მიწოდება გათავისუფლებულია გადასახადებისგან. საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლები არ ითვალისწინებს სხვა რელიგიური გაერთიანებების გათავისუფლებას რელიგიური დანიშნულების ნივთების იმპორტისა და ექსპორტის გადასახადისაგან. რელიგიური ორგანიზაციების მიერ რელიგიური დანიშნულებით განხორციელებული იმპორტი და ექსპორტი გათავისუფლდეს

გადასახადისაგან და თანაბრად გავრცელდეს ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე - როგორც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე, ისე საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით რეგისტრირებულ ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე.

### 1.4. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა

**პრობლემა:** 2018 წლის 15 მარტს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიღო განჩინება ქობულეთის პანსიონის საქმეზე. ამ საქმეში უზენაესმა სასამართლომ არ დაადგინა, რომ პოლიციელებმა საკუთარი უმოქმედობით მუსლიმი მრევლი დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩააყენეს. საქმე ეხება ფიზიკური პირების მიერ პანსიონის შენობაზე ღორის თავის მიმაგრებას, ასევე მუსლიმებისათვის შენობაში შესვლაზე ხელის შეშლას. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ამ საქმეში დაადგინეს კერძო პირების მხრიდან მუსლიმი თემის მიმართ დისკრიმინაცია. რაც შეეხება პოლიციას, რომელმაც ვერ უზრუნველყო წესრიგის დაცვა, პანსიონის გახსნა და მისი შეუფერხებელი ფუნქციონირება, ამ შემთხვევაში, საქართველოს ვერცერთი ინსტანციის სასამართლომ დისკრიმინაცია ვერ დაინახა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დისკრიმინაციას ადგენს მაშინ, როცა, არასაკმარისი საპოლიციო ძალების მობილიზების გამო, სახელმწიფო ვერ ახერხებს მოწყვლადი ჯგუფის დაცვას სხვა კერძო პირთა დისკრიმინაციული თავდასხმისაგან.

### საქართველოს პარლამენტს:

- » საქართველოს პარლამენტმა ცვლილება შეიტანოს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში, რომლითაც თანასწორობის უფლებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მხრიდან თავისი პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობა ჩაითვლება დისკრიმინაციად.

### 1.5. რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა

**პრობლემა:** 2018 წლის აპრილში პარლამენტში შევიდა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის სისხლისსამართლებრივი დასჯის თაობაზე კანონპროექტი. განმარტებით ბარათში ამის მიზეზად მითითებულია ტრადიციულ რელიგიებზე გახშირებული პირდაპირი და ფარული თავდასხმები.<sup>15</sup> ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ განაცხადა: „წარსულში მკრეხელობასთან და რელიგიურ დანაშაულთან დაკავშირებით კანონების მიღება ხდებოდა კონკრეტულ ქვეყანაში დომინანტი რელიგიის გავლენის გამო. იმის გათვალისწინებით, რომ ევროპაში რელიგიური რწმენის

15. საქართველოს სახალხო დამცველის საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიში, 145-ე გვერდი; United States Department of State • Bureau of Democracy, Human Rights, and Labor Georgia 2018 International Religious Freedom Report გვ.6.

მრავალფეროვნება არსებობს, ასევე მოქმედებს სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის დემოკრატიული პრინციპი, მონაწილე სახელმწიფოებმა და პარლამენტებმა უნდა გადასინჯონ მკრეხელობის შესახებ კანონები. მკრეხელობა, როგორც რელიგიის შეურაცხყოფა, არ უნდა იყოს დანაშაული, რაც ისჯება სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით.<sup>16</sup> ვენეციის კომისია ეთანხმება ამ მოსაზრებას.<sup>17</sup> ვენეციის კომისია საჭიროდ არ მიიჩნევს

რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის კრიმინალიზაციას.<sup>18</sup> ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე<sup>1</sup> მუხლის თანახმად, უკვე ისჯება რელიგიურ ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდება, თუკი ეს მოწოდება ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.

დამატებითი სისხლისსამართლებრივი რეგულაციები, რაც იცავს რელიგიურ გრძნობებს, წინააღმდეგობაში მოვიდოდა ევროპის საბჭოსა და ვენეციის კომისიის ზემოხსენებულ რეკომენდაციებთან. ამასთანავე, რელიგიათა საბჭომ არაერთხელ გამოხატა თავისი პოზიცია რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის კრიმინალიზაციის შესახებ. საბჭო მიიჩნევს, რომ ამ ტიპის მოვლენას რელიგიური გაერთიანებები არა საკანონმდებლო აკრძალვით, არამედ ქადაგებითა და შეგონებით უნდა დაუპირისპირდნენ.

### **საქართველოს პარლამენტს:**

- » არ მიიღოს რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის დასჯადობის შესახებ კანონპროექტი

16. PACE Recommendation 1805 (2007) on “Blasphemy, religious insults and hate speech against persons on grounds of their religion.

17. European commission for democracy through law (venice commission) report on the relationship between freedom of expression and freedom of religion: the issue of regulation and prosecution of blasphemy, religious insult and incitement to religious hatred Adopted by the Venice Commission at its 76th Plenary Session (Venice, 17-18 October, 2008, paragraph 63. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2008\)026-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2008)026-e)

18. European commission for democracy through law (venice commission) report on the relationship between freedom of expression and freedom of religion: the issue of regulation and prosecution of blasphemy, religious insult and incitement to religious hatred Adopted by the Venice Commission at its 76th Plenary Session (Venice, 17-18 October, 2008, paragraph 64 . [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2008\)026-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2008)026-e)

## 1.6. რელიგიურ უმცირესობათა დღესასწაულები

**პრობლემა:** საქართველოს შრომის კოდექსის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უქმე დღეებად გამოცხადებულია ისეთი მართლმადიდებლური ქრისტიანული დღეები, როგორცაა: 7 იანვარი - შობა, 19 იანვარი - ნათლისღება, მოძრავი თარიღის მქონე სააღდგომო დღეები, 12 მაისი - წილხვდომილობისა და ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე, 28 აგვისტო - მარიამობა, 14 ოქტომბერი - მცხეთობა; 23 ნოემბერი - გიორგობა. შრომის კოდექსით სხვა აღმსარებლობების დღესასწაულები უქმედ გამოცხადებული არ არის. საქართველოს შრომის კოდექსის მე-20 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, დასაქმებულს, შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, შეუძლია, ზემოხსენებული უქმე დღეების ნაცვლად, მოითხოვოს სხვა დასვენების დღეები. თუმცა კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, რა შეიძლება იყოს ეს დღეები. იმავდროულად, სხვა აღმსარებლობების სადღესასწაულო დღეებში დასვენებისათვის აუცილებელია დამსაქმებლის თანხმობა. იმ პირობებში, როდესაც კანონმდებელი თავად განსაზღვრავს იმ დღეებს, როდესაც მართლმადიდებელ

ქრისტიანებს აქვთ დასვენების მოთხოვნის უფლება, არათანასწორ მოპყრობას წარმოადგენს ის, რომ სხვა კონფესიის წარმომადგენლებისთვის წმინდა რელიგიურ დღესასწაულებზე დასვენება დამოკიდებული შეიძლება იყოს დამსაქმებლის თანხმობაზე.

### საქართველოს პარლამენტს:

- » დაიწყოს დისკუსია რელიგიათა საბჭოსთან, შრომის კოდექსში სხვა აღმსარებლობების რელიგიური დღესასწაულების უქმე დღედ გამოცხადებასთან დაკავშირებით.

## 2. შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაული

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოზიტიური ნაბიჯი გადადგა რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად. 2018 წლის იანვარში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შექმნა ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების მონიტორინგი, ამ პროცესში ხარვეზების იდენტიფიცირება და მათ გამოსასწორებლად წინადადებების შემუშავება.<sup>19</sup>

ამავდროულად, შინაგან საქმეთა სამინისტრო, წინა წლებთან შედარებით, უფრო მეტად იყენებს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებს, რომლებიც სპეციფიკურად სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს კრძალავს.<sup>20</sup> მაგალითად, 2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე 23 საქმიდან 14 საქმე, კვალიფიცირებული იყო რწმენის ან მრწამსის გამო დევნის დანაშაულით (სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლი). ხუთი საქმე კვალიფიცირებულია რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლის დანაშაულით (სსკ-ის 155-ე მუხლი), ერთი საქმე ეხება რელიგიური გაერთიანების საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლას (სისხლის სამართლის კოდექსის 166-ე მუხლი).

მკირედი პროგრესი შეინიშნება სასამართლოებში, რელიგიური სიძულვილის მოტივით დანაშაულის ჩამდენი პირებისათვის სასჯელის დამძიმების თვალსაზრისით. 2016 წლიდან 2018 წლამდე თბილისის საქალაქო სასამართლომ რელიგიური სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის გამო სასჯელი დაამძიმა ორ საქმეში. ასევე აღსანიშნავია სენაკის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის განაჩენი, როცა რელიგიური შინაარსის ლიტერატურის შეთავაზების გამო ბრალდებულმა იეჰოვას მოწმეს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. სენაკის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან ეს დანაშაული რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით იყო ჩადენილი, არ შეიძლებოდა თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენება.

ამის მიუხედავად, რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები: ხელისუფლების პოლიტიკა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით მიმართულია ძირითადად რეპრესიაზე და ნაკლებად - პრევენციაზე. კვლავაც პრობლემას წარმოადგენს ჩადენილი დანაშაულის დროული გამოძიება, ასევე მათთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება.

19. ECRI Conclusions On The Implementation Of The Recommendations In Respect Of Georgia Subject To Interim Follow-Up Adopted on 5 December, 2018, page 5 <https://rm.coe.int/ecri-conclusions-on-the-implementation-of-the-recommendations-in-respe/1680934a7e>

20. United States Department of State • Bureau of Democracy, Human Rights, and Labor Georgia, 2018 International Religious Freedom Report, page 7.



## 2.1. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება

**პრობლემა:** იმის მიუხედავად, რომ გამოძიებაში არსებული საქმეების უმრავლესობა კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებით, რომლებიც რელიგიური სიძულვილის მოტივთანაა დაკავშირებული, მაინც რჩება საქმეთა მცირე ნაწილი, სადაც იყენებენ მუხლებს, რომლებიც პირდაპირ სიძულვილის მოტივს არ უკავშირდება; მაგალითად, იეჰოვას მოწმეთა მიმართ ჩადენილ დანაშაულს ხელისუფლება აკვალიფიცირებს ძალადობით (სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი) და არა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებული შესაბამისი მუხლებით.<sup>21</sup>

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემას წარმოადგენს ის, რომ მათ სათანადოდ არ იძიებენ, არ ხდება დანაშაულის საგარაუდო ჩამდენი პირების იდენტიფიცირება და სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა. როგორც წესი, იეჰოვას მოწმეებს საჯარო ადგილებში, უამრავი მოწმის თანდასწრებით ესხმიან თავს. დაზარალებულები მიუთითებენ, რომ თავდასხმის ფაქტები იწერება გარე სათვალთვალო კამერებით. ხშირად დაზარალებულები თავად ასახელებენ დანაშაულის საგარაუდო ჩამდენი პირების სახელებს, თუმცა ეს პირები მაინც არ არიან პასუხისგებაში მიცემული.<sup>22</sup>

სამართალდამცავი ორგანოებისადმი უნდობლობას აძლიერებს ის გარემოება, რომ არ მსხვერპლს დაზარალებულის სტატუსს, როგორც წესი, არ ანიჭებენ.<sup>23</sup> დაზარალებულის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, გამოძიების საქმის მასალების გაცნობა გახდებოდა შესაძლებელი. ამით გაირკვეოდა, რამდენად ჩაატარა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება, დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობის დადგენისა და მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

მართალია, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის შექმნა უდავოდ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ამ დეპარტამენტს არა აქვს საგამოძიებო ფუნქცია. იმ პირობებში, როდესაც რელიგიური უმცირესობები უნდობლობით არიან განწყობილი საგამოძიებო ორგანოების მიმართ და იმავდროულად, შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტს სიძულვილით მოტივირებულ

21. United States Department of State • Bureau of Democracy, Human Rights, and Labor Georgia 2018 International Religious Freedom Report page 11; საქართველოს სახალხო დამცველის საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიში, გვერდი 146.

22. იეჰოვას მოწმეების 2018 წლის ანგარიში რელიგიური თავისუფლების შესახებ საქართველოში.

23. საქართველოს სახალხო დამცველის საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიში, გვერდი 146.

დანაშაულთან დაკავშირებით რიგით გამოძიებელზე მეტი ცოდნა და მგრძობელობაც აქვს, მნიშვნელოვანია, ამ დეპარტამენტს ჰქონდეს საგამოძიებო ფუნქციაც.

### **შინაგან საქმეთა სამინისტროს:**

- » რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით თავდასხმები სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებით იქნას კვალიფიცირებული, რომლებიც ეხება სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებს;
- » გონივრულ ვადაში და ეფექტურად ჩაატაროს ყველა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედება რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩამდენი პირების ვინაობის დადგენისა და მათი პასუხისგებაში მიცემის მიზნით;
- » დაზარალებულის სტატუსი მიანიჭოს რელიგიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლს;
- » ადამიანის უფლებათა დეპარტამენტს მიენიჭოს საგამოძიებო ფუნქციები.

### **გენერალურ პროკურატურას:**

- » გამოაქვეყნოს რელიგიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სტატისტიკა წლების მიხედვით.

## **2.2. ვიტალი საფაროვის საქმე**

**პრობლემა:** 2019 წლის 27 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ორი პირი დამნაშავედ ცნო, დამამძიმებელ გარემოებაში, ჯგუფურად, უფლებდამცველ ვიტალი საფაროვის მკვლელობაში (სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი), მაგრამ, არ ცნო დამნაშავედ ეროვნული შეუწყნარებლობის გამო მკვლელობაში. ორივე მსჯავრდებულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით. ამჟამად თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში. მნიშვნელოვანია, სააპელაციო სასამართლო მიუბრუნდეს საკითხს იმის თაობაზე, რამდენად მოხდა მკვლელობა ეროვნული შეუწყნარებლობის ნიშნით. რაკილა ებრაული იდენტობა დაკავშირებულია რელიგიასთან, აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, ეს საქმე რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციებში იყოს ასახული. საქმეში სიძულვილის მოტივი იკვეთება მკვლელობამდე წარმოთქმული ანტისემიტური, შეურაცხყოფელი ფრაზების გამო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ავალდებულებს სახელმწიფოებს, სათანადო ყურადღება მიაქციონ დანაშაულის ჩადენისას

წარმოთქმულ დისკრიმინაციულ გამონათქვამებს.<sup>24</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე, ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, არიან თუ არა დანაშაულის ჩამდენი პირები ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების წევრები.<sup>25</sup> პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკითხულმა არაერთმა მოწმემ განაცხადა, რომ ბრალდებული გ. ს. იყო ნაცისტური იდეოლოგიის მიმდევარი. ის გარემოება, რომ ვიტალი საფაროვის მკვლელობა მოჰყვა ვიტალი საფაროვის მიერ მსჯავრდებულთა მეგობრისათვის ხუმრობით ნათქვამ ფრაზას, არ გამოიციხავს სიძულვილის მოტივს. ამ უკანასკნელის არსებობას აძლიერებს მკვლელობამდე, როგორც ერთი, ისე მეორე თავდამსხმელის მიერ დაზარალებულის ებრაულ წარმომავლობაზე ხაზგასმა და მისი ამ ნიშნით შეურაცხყოფა.

### **თბილისის სააპელაციო სასამართლოს:**

- » გაითვალისწინოს არსებული მტკიცებულებები, მოწმეთა ჩვენებები ვიტალი საფაროვის მკვლელობისას ეროვნული (ანტისემიტური) შეუწყნარებლობის მოტივაციის შესახებ.

### **საქართველოს მთავრობას:**

- » შეაფასოს სიძულვილის ჯგუფების მხრიდან მომდინარე რისკები და ადეკვატური რეაგირება მოახდინოს მათ მიერ ჩადენილ ძალადობრივ ქმედებაზე.

24. 2019 წლის 4 ოქტომბრის სახალხო დამცველის სასამართლო, მეგობრის მოსაზრება, გვერდი 14. <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019100717365940559.pdf>

25. 2019 წლის 4 ოქტომბრის სახალხო დამცველის სასამართლო, მეგობრის მოსაზრება, გვერდი 15. <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019100717365940559.pdf> ECtHR, Milanovic v. Serbia, no. 44614/07, 14/12/2010, § 98

### 3. სახელმწიფო პოლიტიკა რელიგიის თავისუფლების სფეროში

რელიგიის თავისუფლების მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკა საანგარიშო პერიოდში არსებითად არ შეცვლილა და რელიგიური ორგანიზაციებისა და ჯგუფების წინაშე მდგარი სისტემური გამოწვევები კვლავ არსებითად გადაუჭრელი დარჩა. ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის ისტორიული გადაწყვეტილებების მიუხედავად (იხ. ზემოთ), საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს რელიგიის თავისუფლების სფეროში არსებული სისტემური დისკრიმინაციული პრაქტიკის (მათ შორის, საგადასახადო კოდექსსა და სახელმწიფო ქონების შესახებ კანონში დისკრიმინაციული ჩანაწერები, არადომინანტური რელიგიური ჯგუფების მიმართ რესტიტუციის ვალდებულების დისკრიმინაციული არ აღიარება) აღმოფხვრის მიზნით სათანადო ღონისძიებები არ განუხორციელებია.

ამის პარალელურად, პარლამენტში არაერთხელ დადგა რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი სტანდარტების გაუარესების რისკის შემცველი ინიციატივები (მათ შორის, კონსტიტუციაში რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებში ეროვნული უსაფრთხოების შეტანის საკითხი; რელიგიის შესახებ სპეციალური კანონის მიღების საკითხი; საჯარო სივრცეში ჩადრით, ნიქაბით და ბურჟით გამოჩენის აკრძალვის საკითხი, არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების სასულიერო პირების სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების არსებული წესის გაუქმება ინიციატივა), რომლებიც ძირითადად ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ იყო მხარდაჭერილი.

საანგარიშო პერიოდში კიდევ ერთხელ დაისვა სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს რეორგანიზაციის საკითხი,<sup>26</sup> რომელიც მთავრობისა და მისი უწყებების რეორგანიზაციის საერთო პროცესის ნაწილი უნდა გამხდარიყო. თუმცა, პრემიერ-მინისტრის საჯარო განცხადების მიუხედავად, უწყების სტატუსი და მანდატი არ შეცვლილა.

ბოლო პერიოდში რელიგიის თავისუფლების საკითხებზე გამოქვეყნებული ანგარიშები უთითებენ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიმართ რელიგიური ორგანიზაციების დაბალი ნდობისა და რელიგიურ ორგანიზაციებთან დემოკრატიული კომუნიკაციის პრობლემაზე. მათ შორის, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის (FCNM) მრჩეველთა კომიტეტი უთითებს, რომ მასთან დისკუსიაში რელიგიურმა უმცირესობებმა გამოხატეს დაბალი ნდობა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიმართ და, ამავდროულად, მათ აჩვენეს მაღალი ნდობა სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს მიმართ, რომელიც 33

26. ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/adamianis-uflebebeze-momushave-organizatsiebi-reliigis-sakithkhta-sakhelmtsifo-saagentos-gaukmebis-taobaze-mtavrovis-gadatsqvilebas-ekhmianebian>

რელიგიურ ორგანიზაციას აერთიანებს და მათთვის ჰორიზონტალური და დამოუკიდებელი ორგანიზაციების ჩარჩოს ქმნის.<sup>27</sup>

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) შეფასებით, მისი რეკომენდაცია, რომელიც საქართველოს მთავრობას მოუწოდებდა, გაეძლიერებინა კომუნიკაცია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და სახალხო დამცველს შორის, არ შესრულდა და სააგენტომ, საბჭოსთან თანამშრომლობის მიზნით, არ გადადგა სერიოზული ნაბიჯები. კომისია ხაზს უსვამს, რომ, თანამშრომლობის ნაცვლად, ამ ორ ორგანოს შორის შეინიშნება დაძაბულობა და მათ პოზიციებს შორის, რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით, ცალსახა აცდენა.<sup>28</sup>

### 3.1 რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მანდატი

**პრობლემა:** სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (შემდგომში სააგენტო) 2014 წელს დაარსდა და ის საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარების ქვეშ ოპერირებს. სამთავრობო სისტემაში სააგენტო რელიგიის თავისუფლების საკითხებზე პასუხისმგებელ ძირითად უწყებას წარმოადგენს და ოფიციალური პოლიტიკის დოკუმენტები (მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა) სწორედ მას ხელდავს ამ სფეროში სახელმწიფოს ძირითადი ვალდებულებების ადრესატად.

სააგენტოს დაარსებას ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებისა და რელიგიური ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი სკეპტიკურად შეხვდა, რადგან ის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მოქმედი „რელიგიის სამინისტროს“ მსგავსი ინსტიტუტის გაჩენის რისკებს ქმნიდა. სააგენტოსთან დაკავშირებულ ეჭვებს კიდევ უფრო აძლიერებდა ის გარემოება, რომ სააგენტოს დაფუძნება რელიგიურ ორგანიზაციებთან და ადამიანის უფლებებზე მომუშავე აქტორებთან კონსულტაციისა და მათი რეკომენდაციის გარეშე მოხდა.<sup>29</sup> ამის მიუხედავად, რელიგიური ორგანიზაციების ნაწილი პოზიტიურად შეხვდა მთავრობაში რელიგიის საკითხებზე პასუხისმგებელი უწყების გაჩენის იდეას, რომელიც მათი წიხილებისა და საჭიროებების შესახებ მოისმენდა.

მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, სააგენტოს არსებითად საკონსულტაციო მანდატი აქვს, უწყებას მთავრობისთვის და პარლამენტისთვის არ

27. Third Opinion on Georgia adopted on 7 March 2019, FCNM, available at: <https://rm.coe.int/3rd-op-georgia-en/1680969b56>

28. ECRI, Conclusions on the implementation of the recommendations in respect of Georgia, Subject to interim follow-up, Adopted on 5 December 2018, available at: <https://rm.coe.int/ecri-conclusions-on-the-implementation-of-the-recommendations-in-respe/1680934a7e>

29. სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები, 2017, ხელმისაწვდომია: [http://tolerantoba.ge/failebi/qartuli\\_broshura\\_saxalxo\\_\\_\\_damcveli\\_87902.pdf](http://tolerantoba.ge/failebi/qartuli_broshura_saxalxo___damcveli_87902.pdf)

წარუდგენია ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პროგრესული რეკომენდაციები და ხედვები, რომლებიც რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის პოზიტიურ ცვლილებას გამოიწვევდა.<sup>30</sup>

ამასთან, საკონსულტაციო ფუნქციის მიღმა, უწყება ზოგჯერ უშუალოდ არის ჩართული რელიგიური გაერთიანებების ფინანსური და ქონებრივი საკითხების გადაწყვეტისა და მართვის პროცესში, რამდენადაც სააგენტოს საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილიც ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების მართვის პროცესსა და ფინანსური და ქონებრივი კომისიის საქმიანობის გაძღვლას უკავშირდება.

### **საქართველოს მთავრობას:**

- » მთავრობამ გაიზაროს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მანდატთან და საქმიანობასთან დაკავშირებით, რელიგიური ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე აქტორების წუხილები. ძირითად აქტორებთან, სახალხო დამცველთან, მათ შორის, სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან კონსულტაციების გზით, იმსჯელოს ამგვარი მანდატისა და კომპეტენციის მქონე უწყების არსებობების საჭიროებაზე, არსებითად შეცვალოს მისი მანდატი და საქმიანობის მიდგომები;
- » მთავრობამ გააძლიეროს სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან საკონსულტაციო პროცესი, მათ შორის, ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები საბჭოს რეკომენდაციებსა და სისტემურ კონსულტაციებზე დააფუძნოს.
- » მთავრობამ რელიგიის თავისუფლების სფეროში პოლიტიკა სახელმწიფოს რელიგიური ნეიტრალიტეტისა და ინკლუზიურობის, რელიგიის თავისუფლების და თანასწორობის მაღალი სტანდარტებისა და პრინციპების განუხრელი დაცვით და პატივისცემით წარმართოს;
- » ზედმიწევნით შეისწავლოს რელიგიური ორგანიზაციების ინსტიტუციურ დამოუკიდებლობაში შესაძლო ჩარევისა და კონტროლის ნეგატიური პრაქტიკა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრას ის;

30. რელიგიური უმცირესობების დაცვა - ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ანგარიში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2018, ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/religiuri-umtsiresobebis-datsva-adamianis-uflebat-datsvis-strategiebisa-da-samok-medo-gegmebis-shesrulebis-monitoringis-angarishi>

- » რელიგიის თავისუფლების და უსაფრთხოების დაცვის საკითხები გაიზაროს არა როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო, არამედ ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამხმარე ინტერესები და გაიზაროს უსაფრთხოების მდგრადი პოლიტიკის მნიშვნელობა.<sup>31</sup> რომელიც, პირველ რიგში, ადამიანის უფლებების, მათ შორის, რელიგიის თავისუფლების განუხრელი დაცვისა და ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობის გზით ხორციელდება;
- » მთავრობამ გაითვალისწინოს რელიგიის თავისუფლების დარღვევის შემთხვევების მძიმე სოციალური ეფექტი არადომინანტურ რელიგიურ ჯგუფებზე, განახორციელოს რელიგიური ურთიერთგაუცხოების დაძლევაზე და თემებს შორის ნდობის აღდგენასა და ტოლერანტული სოციალური გარემოს განვითარებაზე მიმართული პოზიტიური პოლიტიკა;
- » მთავრობამ შეიმუშავოს საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ისტორიული საკულტო ნაგებობების დაბრუნების პოლიტიკის ხედვა, რომელიც სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან, ადამიანის უფლებებზე მომუშავე აქტორებთან შეთანხმებით მომზადდება და უზრუნველყოფს ჩამორთმეული ქონების ისტორიული მესაკუთრეებისთვის საკუთრების უფლებით გადაცემას ან ადეკვატური სანაცვლო ქონების (ან მონეტარული კომპენსაციის) გადაცემას. არსებითია, რესტიტუციის პოლიტიკამ და შესაბამისმა კანონმდებლობამ, ასევე, მოიცვას სადავო ისტორიულ საკულტო ნაგებობებთან დაკავშირებული გადაწყვეტის სამართლიანი მექანიზმი და პროცედურები;
- » უზრუნველყოს რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორობის ხელყოფის მძიმე შემთხვევებში (მათ შორის, ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმე, ისტორიული მესაკუთრეებისთვის საკულტო ნაგებობების ჩამორთმევის სხვადასხვა შემთხვევა) დროული ჩარევა და მათი დროული აღმოფხვრა;

### 3.2 რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პრაქტიკა

**პრობლემა:** 2014 წელს საქართველოს მთავრობამ ოთხი რელიგიური ორგანიზაციის (მუსლიმი თემის, იუდეური თემის, კათოლიკური ეკლესიისა და სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის) დაფინანსება დაიწყო. აღნიშნული გადაწყვეტილება მთავრობის მიერ რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების სფეროში არსებული დისკრიმინაციის

31. Freedom of Religion or Belief and Security: Policy Guidance, OSCE, 2019, available at: <https://www.osce.org/odihr/429389>



აღმოფხვრისა და დაფინანსებული რელიგიური ჯგუფების წრის გაფართოების პოზიტიურ ინიციატივად შეფასდა. თუმცა, რელიგიური ორგანიზაციები და ადამიანის უფლებებზე მომუშავე აქტორები დაფინანსების სისტემის დისკრიმინაციულ შინაარსზე უთითებდნენ და ზოგიერთ შემთხვევაში, მას რელიგიური უმცირესობების შიდა ავტონომიაში ჩარევის მექანიზმად განიხილავდნენ.<sup>32</sup>

ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსება იწვევს დისკრიმინაციას. საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მთავრობა მხოლოდ ოთხ რელიგიური ორგანიზაციასთან მიმართებით საუბრობს, მაშინ, როდესაც სხვა რელიგიური ორგანიზაციები და ჯგუფები (მათ შორის, ლუთერული ეკლესია, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, სახარების რწმენის ეკლესია, იეზიდები) ასევე იღვევებოდნენ. ბუნდოვანია, რა ლეგიტიმური მიზნების საფუძველზე გამოარჩია მთავრობამ მხოლოდ ოთხი რელიგიური ორგანიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის დადგენილება რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების საფუძველად საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზანზე უთითებდა, დაფინანსების ოდენობის დაანგარიშება ისეთი კრიტერიუმებით მოხდა, როგორცაა საკულტო ნაგებობების, სასულიერო პირების, მრევლის რაოდენობა. დაფინანსების ოდენობისა და მასშტაბის განსაზღვრის პროცესში არცერთი კრიტერიუმი არ უკავშირდებოდა მიყენებული ზიანის ოდენობას და მასშტაბს.<sup>33</sup> ამდენად, ზიანის ანაზღაურების, როგორც დაფინანსების რეალური საფუძვლის პრაქტიკულმა იგნორირებამ, ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსება სუბსიდირების ლოგიკაში მოაქცია.<sup>34</sup>

ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების პროცესში გამოვლინდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც კონკრეტული რელიგიაში არსებული სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციის შეთანხმების ან/და გაერთიანების დავალებულულებას იწვევდა და გაერთიანების თავისუფლების უფლებას არსებითად არღვევდა. ამ კუთხით აღსანიშნავია საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველოს საკონსტიტუციო სარჩელი, რომელშიც ის დავობს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის

32. სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები, 2017, ხელმისაწვდომია: [http://tolerantoba.ge/failebi/qartuli\\_broshura\\_saxalxo\\_damcveli\\_87902.pdf](http://tolerantoba.ge/failebi/qartuli_broshura_saxalxo_damcveli_87902.pdf) ასევე რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა (2014-2015), ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/kvleva-religiuri-organizatsiebis-saxhelmtsifo-dafinansebis-politika-2014-2015>

33. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2016-2017 წლების ანგარიში, ხელმისაწვდომია: <https://religion.geo.gov.ge/wliuri-angarisebi/religiis-sakitxta-saxelmwifo-saagentos-2016-2017-wlebis-angarisi>

34. სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები, 2017, ხელმისაწვდომია: [http://tolerantoba.ge/failebi/qartuli\\_broshura\\_saxalxo\\_damcveli\\_87902.pdf](http://tolerantoba.ge/failebi/qartuli_broshura_saxalxo_damcveli_87902.pdf)

დადგენილების იმ ჩანაწერზე, რომელიც მუსლიმთა ორი რელიგიური

ჯგუფისგან - შიიტებისა და სუნიტებისაგან - ითხოვს ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან წარმომადგენლობითი საბჭოს შექმნას. ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კი რელიგიური ჯგუფი კარგავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების შესაძლებლობას.<sup>35</sup>

ამდენად, დაფინანსების არსებული სისტემა ნომინალურად ზიანის ანაზღაურების/კომპენსაციის მოდელში ექცევა, თუმცა რეალურად რელიგიური გაერთიანებები ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ობიექტური და გონივრული კრიტერიუმების გარეშე პირდაპირ სუბსიდიებს იღებენ, რომლის ოდენობა მთავრობის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული.

ამავდროულად, უნდა ითქვას, რომ ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების პროცესი მთავრობის ფინანსურ კონტროლსაც ექვემდებარება. მთავრობა რელიგიურ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არა მხოლოდ ხარჯვის მიზნობრიობას განსაზღვრავს, არამედ, დაფინანსების მიზანშეწონილობის, აუდიტორული შემოწმების და ამ კუთხით გამოვლენილი პრობლემის შემთხვევაში, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის უფლებამოსილებას იტოვებს. ეს მიდგომა კომპენსაციის იდეას, რომელიც საკუთრების უფლების დარღვევის აღდგენის მექანიზმია, არსებითად ეწინააღმდეგება.

### **საქართველოს მთავრობას:**

- » მთავრობამ შეცვალოს რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების არსებული პრაქტიკა და ის თანასწორობის, რელიგიის თავისუფლების დაცვისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპებს დაუქვემდებაროს. ამ მიზნით მიზანშეწონილია, მთავრობამ სახალხო დამცველთან, რელიგიათა საბჭოში შემაჯავალ, ასევე, სხვა რელიგიური ორგანიზაციებთან, ადამიანის უფლებების დაცვაზე მომუშავე აქტორებთან კონსულტაციის საფუძველზე, შეიმუშავოს რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების საგადასახადო სისტემა, რომელიც არსებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელს კონკრეტული რელიგიური ორგანიზაციის, ან სხვა სოციალური/საქველმოქმედო/ჰუმანიტარული მიზნების მქონე ორგანიზაციის, არჩევის და მისთვის მისაღები ორგანიზაციისთვის საშემოსავლო გადასახადიდან შესაბამისი წილის გადარიცხვის შესაძლებლობას აძლევს.
- » არსებითია, მთავრობამ გააფართოოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის დადგენილებით (N117) გათვალისწინებული რელიგიური ორგანიზაციების წრე, რომელიც საბჭოთა პერიოდში

35. საია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუსლიმების დისკრიმინაციული დაფინანსების წესს საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/saia-sakhelmtsifo-bijetidan-muslimების-diskriminაციული-დაფინანსების-წესს-საკონსტიტუციო-სასამართლოში-ასაჩივრებს>

რელიგიური ორგანიზაციების დევნის და მათთვის მიყენებული ზიანის დამოუკიდებელ და ობიექტურ კვლევასა და დაანგარიშებას დაეფუძნება;

- » ამასთან, არსებითა, დადგენილებამ განსაზღვროს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ობიექტური და გონივრული კრიტერიუმები.

### 3.3 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა

**პრობლემა:** ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია და სამთავრობო სამოქმედო გეგმა ადამიანის უფლებების სფეროში ძირითადი ხედვის და პოლიტიკის დოკუმენტია. თუმცა, რელიგიის თავისუფლების კუთხით სხვადასხვა წლის გეგმებში ასახული ვალდებულებები არსებითად არ პასუხობს რელიგიური ორგანიზაციების წინაშე მდგარ ფუნდამენტურ გამოწვევებს და მხოლოდ ზოგადი ხასიათის ვალდებულებების გაწერით შემოიფარგლება. მათ შორის, სხვადასხვა წლის გეგმები არ ასახავს ისეთ მნიშვნელოვან გამოწვევებს რელიგიის თავისუფლების სფეროში, როგორცაა, 1. კანონმდებლობაში არსებული კონკრეტული, რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციული ჩანაწერების აღმოფხვრა; 2. მთავრობის მიერ რელიგიური ნიშნით ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის ყოვლისმომცველი და თანმიმდევრული გეგმის შედგენა; 3. რესტიტუციასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავება და იმპლემენტაცია; 4. საკულტო ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებული დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრა; 5. რელიგიურ თემებს შორის დაძაბულობისა და ნდობის აღდგენაზე ორიენტირებული სამუშაოების განსაზღვრა; 6. დაფინანსების არსებული პრაქტიკის რევიზია და მისი დემოკრატიის, რელიგიური ნეიტრალობისა და ადამიანის უფლებების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამასთან, გეგმა-ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებელ აქტორად ძირითადად რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს განიხილავს, რაც ამ უწყების საქმიანობისა და პოლიტიკის მიმართ დაგროვებული კრიტიკის ფონზე, პრობლემური გადაწყვეტილებებია. ამასთანავე, სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულების მონიტორინგის პროცესში არ არის გადაწყვეტილი სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს სათანადო მონაწილეობის საკითხი. უნდა აღინიშნოს, სამთავრობო გეგმის შესრულების პროცესზე პარლამენტის სუსტი კონტროლის პრობლემატუ, რომელიც წლიური გეგმის შესრულების მხოლოდ ერთ კომიტეტზე მცირე მოხსენებით შემოიფარგლება და არ გააჩნია პარლამენტის ეფექტიანი ზედამხედველობის ინსტრუმენტი.

## საქართველოს მთავრობას:

- » ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმა რელიგიური ორგანიზაციებისა და ჯგუფების წინაშე არსებულ ძირეულ გამოწვევებს დაეფუძნოს;
- » სამოქმედო გეგმის შედგენისა და მისი შესრულების მონიტორინგის პროცესში მთავრობამ უზრუნველყოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს სისტემური მონაწილეობა და მოსმენა;
- » ხელისუფლებამ შეიმუშაოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესზე ეფექტიანი და რეალური საპარლამენტო კონტროლის განხორციელება, რომელიც, მათ შორის, მოიცავს პარლამენტის დადგენილების მიღებას, რომელიც მთავრობას შეესრულებელი ვალდებულებების შესრულებას დაავალდებულებს და მათი შესრულების შემოწმების საპარლამენტო მექანიზმს შექმნის.
- » სამთავრობო გეგმის აქტივობების შესრულების ინდიკატორებად თვისებრივი კრიტერიუმები განისაზღვროს, სახალხო დამცველისა და მასთან არსებული რელიგიათა საბჭოს ანგარიშები/რეკომენდაციები მისი შესრულების შემოწმების ინსტრუმენტად იქნეს მიჩნეული.

#### 4. საკუთრებასა და ქონებასთან დაკავშირებული პრობლემები

რწმენისა და რელიგიის თავისუფლება მოიცავს შეკრების, რელიგიური დანიშნულების ნაგებობების მშენებლობის, ლოცვის, რელიგიური რიტუალებში თავისუფლად მონაწილეობის და ამ უფლების რეალიზაციისათვის სათანადო სივრცის არსებობის შესაძლებლობას.<sup>36</sup> მიუხედავად ამისა, არადომინანტი რელიგიური გაერთიანებებისათვის ერთ-ერთ უმთავრეს და სისტემურ გამოწვევად ქონებრივი და საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები რჩება. ისინი პრობლემას აწყდებიან როგორც ახალი რელიგიური დანიშნულების ნაგებობების მშენებლობის პროცესში, ისე ისტორიული ქონების დაბრუნების კუთხით. სახელმწიფოს არათანმიმდევრულ და, ხშირ შემთხვევაში, დისკრიმინაციულ პოლიტიკას თან ერთვის უთანასწორო საკანონმდებლო გარემოც.

მე-20 საუკუნეში, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, რელიგიურ გაერთიანებებს ჩამოერთვათ როგორც რელიგიური დანიშნულების ნაგებობები, ისე სხვა ტიპის სათემო ქონება (სასაფლაოები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვ.). საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ჩამორთმეული ისტორიული ქონების დაბრუნების პოლიტიკა სახელმწიფომ მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებით გაატარა.<sup>37</sup> საქართველოს საპატრიარქოს, საკუთარი ქონების გარდა, გადაეცა სხვა რელიგიური გაერთიანებების ისტორიული ქონებაც, რომლებითაც დღემდე სარგებლობს და არ თანხმდება მათ დაბრუნებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩამორთმეული ქონების დიდი ნაწილის მესაკუთრე საქართველოს სახელმწიფო გახდა, თუმცა მას სხვა რელიგიური გაერთიანებებისთვის ქონების დაბრუნების ნება არ გამოუხატავს.

არადომინანტი რელიგიური გაერთიანებები ხშირად აწყდებიან ხელოვნურ და დისკრიმინაციულ ბარიერებს ახალი რელიგიური ნაგებობების მშენებლობის პროცესში. ხშირად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები რელიგიურ ორგანიზაციებს დაუსაბუთებლად, დისკრიმინაციული მოტივით ეუბნებიან უარს მშენებლობის ნებართვის გაცემაზე.<sup>38</sup>

36. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი 22, პარა. 4; რელიგიისა და რწმენის ნიშნით შეუწყნარებლობის და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს დეკლარაცია, მუხლი 6(ა).

37. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წელს გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმება, მუხლი 7.

38. ბოლო წლებში, მსგავსი პრაქტიკის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია თერჯოლაში იეპოვას მოწმეების რელიგიური ნაგებობის მშენებლობის ნებართვის შეჩერება (2014 წ.), კათოლიკე ეკლესიისათვის რუსთავში ტაძრის მშენებლობისათვის ნებართვის არგაცემა (2013-2016 წ.), ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობისათვის ნებართვაზე უარი (2017 წ.).

არადომინანტი რელიგიური ჯგუფებისათვის პრობლემურია ქონების საკუთრების უფლებით ფლობაც. ქონების დიდ ნაწილს, რომელსაც განკარგავენ და რომლებიც არ მიიჩნევა ე.წ. სადავო ნაგებობებად, ფლობენ სარგებლობის, და არა საკუთრების, უფლებით. 2018 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა,<sup>39</sup> რომ რელიგიური საქმიანობის განხორციელებისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს რელიგიური ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება. აქედან გამომდინარე, ყველა რელიგიურ ორგანიზაციას თანაბრად აქვს სახელმწიფოსგან ქონების მიღებისა და მათი რელიგიური მიზნებისთვის გამოყენების ინტერესი.<sup>40</sup>

არადომინანტი რელიგიური ჯგუფების წინაშე საკუთრებასთან, ისტორიული ქონების რესტიტუციასთან, ახალი რელიგიური ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებით არსებული სისტემური პრობლემები ხაზგასმულია როგორც საქართველოს სახალხო დამცველის, ისე არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშებში. მაგალითად, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია (ECRI) სახელმწიფოს მიმართავს რეკომენდაციით, რელიგიური საკუთრების შესახებ დავები სწრაფი, გამჭვირვალე და სამართლიანი გზით მოგვარდეს, ხოლო ახალი რელიგიური ნაგებობების მშენებლობის ნებართვების საკითხი განიხილებოდეს არა მიკერძოებული რელიგიური შეხედულებების, არამედ კანონმდებლობის შესაბამისად.<sup>41</sup> ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტი 2019 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნავს, რომ რესტიტუციის პრობლემა უცვლელად მოუგვარებელი დარჩა, ისტორიული ნაგებობების მდგომარეობის გაუარესების რისკი კი იზრდება. კომიტეტი იზიარებს რელიგიური უმცირესობების წუხილს როგორც ქონების დაზარუნების, ისე ახალი რელიგიური ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებით, მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, პროცესი გახადოს გამჭვირვალე და მხოლოდ ობიექტურ სამართლებრივ კრიტერიუმებზე დააფუძნოს.<sup>42</sup>

39. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება, კონსტიტუციური საჩივრი №811.

40. დეტალურად იხილეთ თავი - „კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაცია“.

41. ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI), მონიტორინგის მეხუთე ციკლის ანგარიში საქართველოს შესახებ, გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს.

42. ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მესამე ანგარიში საქართველოს შესახებ, 2019 წლის 7 მარტი.

#### 4.1 საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკუთრების დაბრუნება

**პრობლემა:** დღემდე გადაუჭრელია სხვადასხვა რელიგიური გაერთიანებისთვის საბჭოთა პერიოდში კომუნისტური ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული რელიგიური ნაგებობების დაბრუნებისა და სადავო ძეგლების ისტორიული მფლობელის დადგენის საკითხი. არადომინანტი რელიგიური გაერთიანებების ისტორიული ქონების დასაბრუნებლად სახელმწიფოს არ გადაუდგამს რეალური ნაბიჯები, არ შეუმუშავებია შესაბამისი პოლიტიკა და კანონმდებლობა. რესტიტუციის პრობლემა ყველაზე მწვავედ დგას სომეხთა სამოციქულო, კათოლიკე, ევანგელურ-ლუთერული ეკლესიების, მუსლიმი და იუდეური თემების წინაშე.

პრობლემურია არადომინანტური რელიგიური ჯგუფების ისტორიული ქონების საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის გადაცემის საკითხიც. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სახელმწიფომ საპატრიარქოს, საკუთარი ისტორიული ქონების გარდა, სხვა რელიგიური გაერთიანებების ნაგებობებზე გადასცა საკუთრების უფლებით. აღნიშნული პრაქტიკა დღემდე გრძელდება.

წლების განმავლობაში გადაუჭრელი პრობლემა ამ ნაგებობების მდგომარეობაზეც აისახება. ისტორიული მფლობელის დადგენამდე რელიგიური ნაგებობები, უმეტეს შემთხვევაში, დაუცველია და ისინი დაზიანებისა და დანგრევის საფრთხის წინაშე დგას, ხოლო მათი შენარჩუნება და რესტავრაცია, როგორც წესი, მთავრობის დღის წესრიგში არ ხვდება. ის ნაგებობები კი, რომლებიც სხვა მესაკუთრის ხელში აღმოჩნდა, კარგავს ავთენტურობას და ისტორიულ-კონფესიურ იერსახეს.

#### საქართველოს მთავრობას:

- » სახალხო დამცველის, სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს, აკადემიური სფეროს ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით უმოკლეს დროში შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეიმუშავებს რესტიტუციის პროცესის მკაფიო გეგმას.
- » აღნუსხოს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ რელიგიური გაერთიანებებისთვის მიყენებული ქონებრივი ზიანის მასშტაბი, მათ შორის, უზრუნველყოს ჩამორთმეული ქონების დოკუმენტირება. პროცესში უზრუნველყოს შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართვა.
- » უზრუნველყოს რელიგიური გაერთიანებების და მკვლევარების სრული მისაწვდომობა საარქივო მასალებზე, რათა დაუბრკოლებლად შეძლონ მონაცემებისა და შესაბამისი



- » დოკუმენტების შეგროვება მათი ისტორიული ქონების შესახებ.
- » საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული, ამჟამად სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული რელიგიური ნაგებობები დაუბრუნოს ისტორიულ მესაკუთრეებს: სომეხთა სამოციქულო, ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიებს, მუსლიმ და იუდეურ თემებს.
- » შეისწავლოს საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული კათოლიკე ეკლესიის ექვსი ტაძრის მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსთვის გადაცემის კანონიერება და უზრუნველყოს კათოლიკე ეკლესიის უფლების აღდგენა.
- » ისტორიული მესაკუთრეებისათვის დაბრუნებამდე, უზრუნველყოს იმ რელიგიური შენობა-ნაგებობების კონსერვაცია, დაცვა და შესაბამისი მოვლა-პატრონობა, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია ან/და ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში ირიცხება.
- » იმ რელიგიურ ნაგებობებზე, რომელებიც ისტორიულად სხვა გაერთიანების საკუთრებაა და რომლებსაც ამჟამად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ფლობს, აღიკვეთოს ყველა სახის უკანონო ზემოქმედება, რეკონსტრუქცია, ისტორიულ-კონფესიური იერსახის ცვლილება; სახელმწიფომ დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ამ ტიპის ნაგებობების კონსერვაცია-შენარჩუნებისათვის.
- » შეისწავლოს თბილისში, 2017 წელს აღმაშენებლის №38-ში მდებარე ისტორიულად სომხური „თანდოიანცის ეკლესიის“ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის გადაცემის კანონიერება; დაუყოვნებლივ აღკვეთოს საქართველოს საპატრიარქოს მიერ აღნიშნულ ნაგებობაზე განხორციელებული ნებისმიერი ტიპის სამშენებლო, არქეოლოგიური და სხვა ტიპის სამუშაოები.

### **საქართველოს პარლამენტს და მთავრობას:**

- » სახალხო დამცველის, სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს, აკადემიური სფეროს ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშაოს რელიგიური და სათემო ქონების რესტიტუციის შესახებ კანონპროექტი, რომელიც განსაზღვრავს საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ისტორიული ქონების დაბრუნების წესს, კრიტერიუმებს, პასუხისმგებელ უწყებებსა და ვადებს.
- » შესაბამისობაში მოიყვანოს კანონმდებლობა, მათ შორის აღმოფხვრას დისკრიმინაციული ნორმები სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონში, რაც ხელს უშლის არადომინანტ

რელიგიურ გაერთიანებებს, საკუთრების უფლებით მიიღონ სახელმწიფო ქონება. გაითვალისწინონ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების სულისკვეთება, რომელმაც დისკრიმინაციულად მიიჩნია რელიგიური გაერთიანებებისათვის სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემის უთანასწორო საკანონმდებლო რეჟიმის არსებობა. ამით უზრუნველყონ არადისკრიმინაციო რელიგიური ორგანიზაციებისთვის იმ ქონების საკუთრების უფლებით გადაცემა, რომლებსაც ისინი დღეს მხოლოდ სარგებლობის უფლებით განკარგავენ

## 4.2 რელიგიური ნაგებობების მშენებლობა

**პრობლემა:** რელიგიური ნაგებობების მშენებლობის თვალსაზრისით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ლიბერალურია და რელიგიური ნაგებობების მშენებლობისთვის არ ითვალისწინებს სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმს. მიუხედავად ამისა, რელიგიური გაერთიანებები, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან, რომლის პირდაპირ კომპეტენციას მიეკუთვნება მშენებლობის ნებართვის გაცემა, ხშირად აწყდებიან დისკრიმინაციული მოტივით პროცესის გაჭიანურების ან მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის პრობლემას.

მიუხედავად სასამართლოს გადაწყვეტილებისა, ქალაქ რუსთავის მერიამ ოთხი წლის განმავლობაში გააჭიანურა პროცესი და საქართველოს კათოლიკე ეკლესიას დისკრიმინაციული საფუძვლით არ მისცა ახალი ტაძრის მშენებლობის ნებართვა. ქალაქ ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდს კი, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერმა, 2017 წელს, დაუსაბუთებლად უთხრა უარი მეჩეთის მშენებლობის ნებართვაზე. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ მერიის გადაწყვეტილება საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევისა და სათანადო დასაბუთების გარეშე იყო მიღებული. 2019 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ბათუმის საქალაქო სასამართლომ ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმის გამო დაადგინა დისკრიმინაცია, ბათილად ცნო ბათუმის მერიის გადაწყვეტილება, მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის გაცემაზე უარის შესახებ და საქმე ხელახლა განსახილველად ბათუმის მერიას დაუბრუნა.

გარდა ამისა, პრობლემურია საქართველოს პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში მოქმედი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს როლი. მის კომპეტენციას მიეკუთვნება რელიგიურ-საკულტო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობის, მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრის საკითხებზე რეკომენდაციის გაცემა. როგორც არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს რეკომენდაციები

უმთავრესად ეხება რელიგიური გაერთიანებისთვის შესაბამის ტერიტორიაზე რელიგიური ნაგებობების საჭიროების საკითხს და მშენებლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი გარემოებების შეფასება მათში არ შედის. ასევე, ბუნდოვანია, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეიძლება განსაზღვროს სააგენტომ რელიგიური გაერთიანების საჭიროებისა და რელიგიური ნაგებობის ადგილმდებარეობის მიზანშეწონილობა.

მართალია, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს რეკომენდაცია საეკლესიო არ არის და მას მხოლოდ სამართლებრივი ძალა არა აქვს, მაგრამ, ის ზოგიერთ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაბრკოლების მიზეზი გამხდარა, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებითაც დადასტურდა.<sup>43</sup> რელიგიურ ორგანიზაციას, რომელიც რელიგიური დანიშნულების ნაგებობის აშენებას თბილისში 2015 წლიდან ცდილობდა, თბილისის მერიის სსიპ „ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა“ 2016 წელს უარი უთხრა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციის წარდგენა მოსთხოვა. საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი, განმცხადებლისგან მოეთხოვა სხვა რაიმე დამატებითი საბუთი ან ინფორმაცია, მათ შორის, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს რეკომენდაციის წარდგენა, თუ ის უშუალოდ კანონით არ იყო გათვალისწინებული.

### **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საქართველოს მთავრობას:**

- » აღმოიფხვრას რელიგიური დანიშნულების ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული დისკრიმინაციული პრაქტიკა;
- » რელიგიურ უმცირესობათა გაერთიანებებისთვის მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში იმოქმედონ საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის განუხრელი დაცვით;
- » ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა რელიგიური გაერთიანებებისთვის მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, უარი თქვან უკანონო დაბრკოლებების შექმნის, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების ჩართვისა და საკითხის გადაწყვეტის ხელოვნურ გაჭიანურებაზე;

43. იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე N3/5502-16; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N 330310016001446326.

- » რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მანდატიდან გავიდეს რელიგიურ-საკულტო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობისა და ადგილმდებარეობის განსაზღვრისთვის რეკომენდაციების გაცემის კომპეტენცია;
- » ქალაქ ბათუმის მერიამ იმოქმედოს საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში, გაითვალისწინოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება და „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდს“ უმოკლეს დროში მისცეს მშენებლობის ნებართვა.

## 5. საზღვრის კვეთა და რელიგიური ლიტერატურის შემოტანა

**პრობლემა:** არადომინანტი რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლები ხშირად აწყდებიან პრობლემებს სახელმწიფო საზღვრის კვეთისა და რელიგიური ლიტერატურის შემოტანისას. სამგზავრო დოკუმენტების შემოწმებისას, მათ სახელმწიფო საზღვარზე არაგონივრული ვადით აყოვნებენ.<sup>44</sup> ზოგ შემთხვევაში, ხდება ბარგის დაუსაბუთებელი ეჭვის საფუძველზე დათვალისწინება.

გარდა ამისა, ხშირად, არადომინანტურ რელიგიურ გაერთიანებებს დაბრკოლება ექმნებათ რელიგიური ლიტერატურის საქართველოში შემოტანის დროს. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ზოგ შემთხვევაში, რელიგიური ლიტერატურის შემოტანაზე უარის თქმისას სთხოვენ, წარმოადგინონ საქართველოს საპატრიარქოს, ან, მუსლიმების შემთხვევაში, ერთ-ერთი მუსლიმური ორგანიზაციის - სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ წერილობითი ნებართვა. ზოგ შემთხვევაში კი, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ უნდა მოხდეს რელიგიური ლიტერატურის შინაარსობრივი შემოწმება, რადგან არადომინანტური რელიგიური ორგანიზაციების მიერ იმპორტირებული ლიტერატურა საფრთხედ აღიქმება.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ნებართვის, ლიცენზიის ან სერტიფიკატის წარდგენის ვალდებულებას საზღვარზე ბეჭდური პროდუქციის შემოტანისას. შესაბამისად, საბაჟო-გამშვებ პუნქტზე არსებული პრაქტიკა უკანონო და დაუსაბუთებელია.

არის შემთხვევები, როდესაც არადომინანტი რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რელიგიური ლიტერატურის შემოტანისას, სთხოვენ იმპორტის გადასახადის გადახდას. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად კი, წიგნების იმპორტი გათავისუფლებულია გადასახადისგან.

მნიშვნელოვანია, რომ 2017 წლის 25 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მხრიდან მუსლიმების მიმართ საზღვრის კვეთის პროცესში პირდაპირი დისკრიმინაცია დაადგინა. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ორივე უწყებას, უზრუნველყონ საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე რელიგიური ნეიტრალურობის დაცვა და იმ თანამშრომლების გადამწადება, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ სავიზო-საპასპორტო კონტროლს და თანმდევ საბაჟო პროცედურებს.

44. აღნიშნული პრაქტიკა განსაკუთრებულად ხშირია საქართველოს მუსლიმი მოქალაქეების მიმართ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურს:**

- » შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეისწავლოს არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას და რელიგიური ლიტერატურის შემოტანისას შექმნილი დაბრკოლებების საკითხები და მათზე დროული და ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს;
- » გადამზადდნენ სასაზღვრო პოლიციისა და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები ადამიანის უფლებების, დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და პროფესიული ეთიკის ნორმების საკითხებზე.

## 6. პოლიცია ეთნიკური/რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში

**პრობლემა:** რელიგიური/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში პოლიციის სათანადო ოპერირების საკითხი არსებითაა. კულტურული, ლინგვისტური სპეციფიკის, სოციალური იზოლაციისა და პოლიტიკური გაუცხოების გამო ხშირად უმცირესობებს მიუთვლებულ ჯგუფებში სახელმწიფო ინსტიტუტების, განსაკუთრებით, პოლიციის მიმართ ნდობა დაბალია.<sup>45</sup> ადგილობრივებში ნდობის ნაკლებობა ხშირად იწვევს სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებისგან თავის შეკავებას, რაც დაუსჯელობისა და სუსტი სამართლებრივი დაცვის პრობლემას ქმნის.

იმისთვის, რომ უმცირესობების მიმართ პოლიციის პოლიტიკა უფრო დემოკრატიული და თემზე ორიენტირებული გახდეს, არსებითაა პოლიციის საქმიანობა ამ რეგიონებში ობიექტურ მონაცემებსა და კვლევებზე დაფუძნებულ მიდგომებს ეფუძნებოდეს. ამასთან, მნიშვნელოვანია, უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მოქმედი პოლიციის განყოფილებებში სხვადასხვა თანამდებობაზე ასევე მუშობდნენ თემის წარმოდგენლები და ამ კუთხით დასაქმების პოლიტიკა სამართლიანი იყოს.<sup>46</sup>

ცალკე უნდა აღინიშნოს ადგილობრივ თემთან პოლიციის ურთიერთობის სტრატეგიის საკითხი, რომელიც პოლიციის თანამშრომლებში რელიგიური/ეთნიკური ჯგუფის ისტორიის, კულტურის, ეთიკის, ტრადიციის თავისებურებების შესახებ სათანადო ცოდნასა და ადგილობრივების კულტურული თვითმყოფადობის პატივისცემას უნდა ეფუძნებოდეს.

### შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- » მნიშვნელოვანია რელიგიური/ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პოლიციის საქმიანობის ხარვეზების კრიტიკული და ობიექტური შესწავლა და ყოვლისმომცველი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და იმპლემენტაცია;
- » პოლიციის თანამშრომლების ცოდნის გაძლიერება საქართველოში მცხოვრები რელიგიური/ეთნიკური უმცირესობების ისტორიის, რელიგიის, კულტურის, ტრადიციების შესახებ და ამ მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის გადამზადების სასწავლო პროგრამებში შესაბამისი კურსის დანერგვა;

45. OSCE, Recommendations on Policing in Multi-Ethnic Societies, available at: <https://www.osce.org/hcnm/policing-recommendations>.

46. Geneva Centre for the Democratic Control of Armed Forces (DCAF), International Police Standards Guidebook on Democratic Policing, Senior Police Adviser to the OSCE Secretary General, 2008, available at: <https://www.dcaf.ch/international-standard-guidebook-democratic-policing>



- » პოლიციის განყოფილებებში ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლების დასაქმების წახალისება;
- » პოლიციის კომუნიკაციის სტრატეგიაში ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან და რელიგიურ ორგანიზაციებთან დემოკრატიული და გამჭვირვალე კომუნიკაციის არხების შექმნა ადგილობრივი თემის ინტერესების, წუხილებისა და საჭიროებების გამოვლენის მიზნით და უფრო ეფექტიანი პრევენციული პოლიტიკის გატარებისთვის;
- » რელიგიური/ეთნიკური კონფლიქტებისა და დაძაბულობის დროს პოლიციის მუშაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ სპეციალური სასწავლო კურსის შექმნა და დანერგვა პოლიციის სწავლებისა და გადამზადების პროგრამებში;
- » პოლიციის მხრიდან რელიგიური ნეიტრალიტეტის მკაცრი დაცვა და სიძულვილის ენის დაუშვებლობა, მსგავს ფაქტებზე მკაცრი რეაგირების რეალური პრაქტიკის შექმნა.

## 7. განათლება

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები განათლების მიმართულებით არსებული სიტუაციისა და წინა წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანალიზს ეყრდნობა და სამ ძირითად მიმართულებას - ადრეულ, ზოგად და უმაღლეს განათლებას მოიცავს.

კანონები, რომლებიც ადრეულ, ზოგად და უმაღლეს განათლებას არეგულირებს, შეიცავს მუხლებს, რომლებიც საგანმანათლებლო დაწესებულებებს რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვისა და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნისკენ მოუწოდებს.

მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველის ანგარიშები, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ ბაგა-ბაღებშიც და ზოგადასაგანმანათლებლო საჯარო სკოლებშიც ხშირად ირღვევა ნეიტრალიტეტის პრინციპი. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს მიეკუთვნებიან და, ასევე, უცხოელი სტუდენტები, ხშირად აწყდებიან დისკრიმინაციულ და გულგრილ დამოკიდებულებას როგორც თანატოლების, ასევე ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის მხრიდან.

რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების მშობლების და თავად სტუდენტების განცხადებით, ამგვარი სიტუაციებიდან თავის არიდების მცდელობას შესაძლოა, თან ახლდეს დისკრიმინაცია და სტიგმატიზაცია, რის გამოც ისინი ამგვარი ფაქტების შესახებ ხმამაღლა საუბარს ერიდებიან.

სახალხო დამცველი და რელიგიათა საბჭო წლებია მოუწოდებენ სახელმწიფოსა და განათლების სამინისტროს, გამოავლინონ პოლიტიკური ნება და გაატარონ ქმედითი ღონისძიებები ამგვარი შემთხვევების აღმოსაფხვრელად, თუმცა ჯერჯერობით ამ საკითხების მოსაგვარებლად არ გადადგმულა შესაბამისი ნაბიჯები.

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭო მისალმება განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის გადაწყვეტილებას, ცვლილებები შეეტანა სახელმძღვანელოების გრიფირების წესში და სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმში „სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებთან შესაბამისობის“ კრიტერიუმები დაემატებინა.

რელიგიათა საბჭო ასევე პოზიტიურად განიხილავს სამინისტროს გადაწყვეტილებას, სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში ჩაერთო სახალხო დამცველის მიერ შერჩეული ექსპერტები, რომლებიც სახელმძღვანელოებს სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებთან შესაბამისობის ნიშნით აფასებენ.

ბოლო წლების მანძილზე დროდადრო ახლდება საუბარი სკოლებში ახალი სავალდებულო საგნის - „რელიგიის/რელიგიის ისტორიის“ შემოღების თაობაზე. დღევანდელ ვითარებაში, როდესაც რელიგიური პრობლემატიკა ხშირად დისკრიმინაციის წყაროდ გვევლინება და სკოლა სათანადოდ ვერ იცავს ნეიტრალიტეტის პრინციპს, როდესაც მასწავლებლები ხშირად ტენდენციურ დამოკიდებულებას გამოხატავენ სხვადასხვა კონფესიის მიმართ, რელიგიის სწავლების შემოტანა შესაძლოა, საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს.

## 7.1 ადრეული და სკოლამდელი განათლება

**პრობლემა:** ადრეული ასაკი უმნიშვნელოვანესი პერიოდია ბავშვის ცხოვრებაში. ამ დროს მიღებული გამოცდილება ბავშვს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება. მიუხედავად იმისა, რომ კანონი - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ (2016) ცალკე მუხლებით არ არეგულირებს ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების რელიგიური ნეიტრალიტეტის საკითხებს, კანონის 23-ე მუხლი ამბობს, რომ „ბავშვებისათვის განათლების მიწოდება უნდა ხდებოდეს, მიუხედავად მათი ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა“.

ამ მახასიათებლების მიმართ სენსიტიურობისაკენ მოუწოდებს სკოლამდელი დაწესებულების წარმომადგენლებს 2017 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების სტანდარტიც“. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველთან შემოსული საჩივრები და ადრეული განათლების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების გამოცდილება ამბობს, რომ ბავშვებში ხშირია ნეიტრალიტეტის დაუცველობის, რელიგიური რიტუალების (ლოცვის) ჩატარებისა და სხვადასხვა აღმსარებლობის მიმართ არატოლერანტული დამოკიდებულების შემთხვევები. ბავშვებში მოწყობილია სალოცავი კუთხეები. არის შემთხვევები, განსაკუთრებით რელიგიური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში, როდესაც ბავშვებს სხვადასხვა რელიგიური დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში საჯარო ლოცვის რიტუალებში რთავენ.

რელიგიათა საბჭო მიიჩნევს, რომ ადრეული განათლების სფეროს რეფორმის განუყოფელი ნაწილი, განათლების ამ ეტაპზე, ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვისა და ბავშვებში ტოლერანტობის კულტურის დანერგვა უნდა იყოს.

## საქართველოს პარლამენტს:

- » შევიდეს ცვლილება კანონში - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ და მას დაემატოს პუნქტები, რომლებიც ბაგა-ბაღის სივრცეში რელიგიური ნეიტრალიტეტის საკითხებს დაარეგულირებს.

## სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს:

- » სამოქმედო გეგმის შემუშავებისას, გაითვალისწინოს რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის მნიშვნელობა ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში და უზრუნველყოს საგანმანათლებლო რესურსის მომზადება, რომელიც ადრეული განათლების სპეციალისტებს ბაგა-ბაღებში ტოლერანტული გარემოს შექმნაში დაეხმარება.
- » მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან თანამშრომლობით, ცვლილებები შეიტანოს „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული მომზადების ტრენინგმოდულში“ (29/06/2018: N97/6) და მასში მეტი დრო დაეთმოს აღმზრდელ-პედაგოგებს შორის ტოლერანტული ცნობიერების ამაღლებას. აქტორებმა, ამ პროცესში, რელიგიათა საბჭოსთან და შესაბამის ექსპერტებთან ითანამშრომლონ.
- » მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან თანამშრომლობით, ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებების დირექტორებისათვის მოამზადოს სპეციალური ტრენინგმოდული, რომელიც უზრუნველყოფს დირექტორთა კომპეტენციის ამაღლებას ანტიდისკრიმინაციული, ბულინგისგან თავისუფალი, ტოლერანტული და ინკლუზიური პოლიტიკის გატარების მიმართულებით.

## 7.2 ზოგადი განათლება - სასკოლო გარემოს მართვა და პროფესიული განვითარება

**პრობლემა:** ზოგადი განათლების სფეროში არსებულ გამოწვევებს რელიგიათა საბჭო წლების მანძილზე სწავლობს და რეკომენდაციებს გარკვეული პერიოდულობით აწვდის განათლების სამინისტროს.

კანონი ზოგადი განათლების შესახებ (2005) უზრუნველყოფს საჯარო სკოლაში რელიგიურ ნეიტრალიტეტს, თუმცა საჯარო სკოლებში სკოლის ნეიტრალურობის პრინციპი ხშირად ირღვევა. კანონში დეკლარირებულ პრინციპებს ეწინააღმდეგება სკოლის ტერიტორიაზე არსებული საკულტო ნაგებობები და სკოლაში მოწყობილი ე.წ. რელიგიური კუთხეები. ხშირია

რელიგიური რიტუალის შესრულება გაკვეთილზე, კოლექტიური ლოცვა, სასკოლო საათების დროს სკოლის ორგანიზებით მოსწავლეების რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა.

სიტუაციის გამწვავების თავიდან ასარიდებლად, უმცირესობათა წარმომადგენლები პროტესტის საჯაროდ გამოთქმას ერიდებიან, სამინისტრო კი წლებია ვერ ახერხებს, ამგვარი ფაქტების პრევენციის მიზნით, ქმედითი პროაქტიული ზომების გატარებას. ტოლერანტული ცნობიერებისა და მრავალფეროვანი კლასის მართვის კომპეტენციის დაბალი დონე, ასევე კონტროლის მექანიზმების სისუსტე ზრდის დისკრიმინაციის, განსხვავებული რელიგიისადმი შეუწყნარებლობის, ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის შემთხვევების სკოლაში.

რელიგიათა საბჭო მიესალმება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილებას მასწავლებლებისთვის შეეთავაზებინა ტრენინგმოდული, რომელიც ანტიბულინგისა და ტოლერანტული გარემოს დამკვიდრების საკითხებს მოიცავს (ხელმისაწვდომია 2016 წლიდან) და ასევე ცენტრის თანამშრომლობას ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტთან, ახალი ტრენინგმოდულის - „ტოლერანტობის გაკვეთილების“ დანერგვის თაობაზე.

საბჭო, ამავდროულად, მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, არსებობდეს ამ მიმართულებით დირექტორთა გადამზადების მუდმივმოქმედი პროგრამაც, რადგან სკოლის დირექტორის როლი დიდია სკოლაში მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის და თანამშრომელთა შორის ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული გარემოს ჩამოყალიბებაში. თუმცა, ზოგადად, სკოლის გარემოს სენსიტიურობა ტოლერანტული ღირებულებების მიმართ დაბალია და სიტუაციის არსებითად შესაცვლელად საჭიროა, გატარდეს უფრო ფართო და კომპლექსური ღონისძიებები.

### **განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:**

- » ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტმა, ყველა რელევანტურ სამმართველოსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრთან ერთად, შეიმუშაოს სკოლების შეფასებისა და მხარდაჭერის ეფექტური სისტემა, მათ შორის სკოლის შინაარსობრივი და სტრუქტურული განვითარების შესაფასებელი ინსტრუმენტი. ამ ინსტრუმენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი სკოლის მხრიდან ანტიდისკრიმინაციული, ბულინგისგან თავისუფალი, ტოლერანტული და ინკლუზიური პოლიტიკის გატარების შეფასება და მხარდაჭერა უნდა გახდეს (სასურველია, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში სამინისტრომ ითანამშრომლოს სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან). ამ პროცესზე მუშაობისას, მნიშვნელოვანია,

სამინისტრომ მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის წევრები ეთნიკური და რელიგიური საკითხების მიმართ შესაბამის მგრძობელობის მიხედვით გამოარჩიოს.

- » საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შეიტანოს ცვლილება 2013 წლის 30 აპრილის ბრძანებით დამტკიცებულ **N3** დანართში და კერძო და საჯარო სკოლების ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარს დაამატოს პუნქტი სკოლაში, ანტიდისკრიმინაციული, ბულინგისგან თავისუფალი, ტოლერანტული და ინკლუზიური პოლიტიკის გატარების თაობაზე.
- » ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტმა განაახლოს სკოლის დირექტორის სტანდარტი და მასში ასახოს სკოლაში ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის გატარების კომპეტენციის მოთხოვნა.
- » მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა შეიმუშაოს დირექტორთა გადამზადების სპეციალური სავალდებულო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს დირექტორთა კომპეტენციის ამაღლებას ანტიდისკრიმინაციული, ბულინგისგან თავისუფალი, ტოლერანტული და ინკლუზიური პოლიტიკის გატარების მიმართულებით. პროგრამის შემუშავებისას ცენტრმა ითანამშრომლოს სახალხო დამცველის რელიგიათა საბჭოსთან და მის ექსპერტებთან.
- » შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა სკოლის დირექტორთა სასერტიფიკაციო გამოცდებში შეაფასოს კანდიდატების რელიგიურად და ეთნიკურად მრავალფეროვან გარემოში სკოლის მართვის კომპეტენცია.
- » ეროვნული სასწავლო გეგმებისა და ზოგადი განათლების დეპარტამენტებმა იზრუნონ ახალი სკოლის მოდელში რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების შესახებ განათლების კომპონენტის გაძლიერებაზე.
- » განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრის მიერ მართული ელექტრონული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე: **el.ge** განთავსდეს სახელმძღვანელო რესურსები, სკოლაში ანტიდისკრიმინაციული გარემოს შექმნის საკითხებზე და ამის შესახებ ინფორმაცია დაეგზავნოს სკოლების დირექტორებს, ადმინისტრაციებსა და მასწავლებლებს. მათ შორის - ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო - „ტოლერანტობის გაკვეთილები“.

### 7.3. ზოგადი განათლება - სახელმძღვანელოები და რელიგიის სწავლება

**პრობლემა:** როგორც ზემოთ აღინიშნა, განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტმა ცვლილებები შეიტანა სახელმძღვანელოების გრიფირების წესში და სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმს „სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებთან შესაბამისობის“ კრიტერიუმები დაამატა. ასევე, სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში ჩართო სახალხო დამცველის მიერ შერჩეული ექსპერტები, რომლებიც სახელმძღვანელოებს სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებთან შესაბამისობის ნიშნით აფასებენ. თუმცა, შემამფოთებელია სამინისტროს ბოლოდროინდელი გადაწყვეტილება, რომელიც სკოლებს აძლევს თავისუფლებას, აირჩიოს ნებისმიერი საგანი და შეიტანოს იგი ძირითად საგანთა ბადეში - (ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი 2019 წლის 8 აგვისტოს ცვლილება N164/ნ). ამგვარმა მიდგომამ შესაძლოა, სკოლებში მასობრივად გამოიწვიოს კონფესიური რელიგიური სწავლების დანერგვა და იმავდროულად, განათლების სამინისტროს ზედამხედველობის მიღმა დატოვოს საკითხი.

#### განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- » ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტმა, განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრთან ერთად გააგრძელოს სახალხო დამცველის წარმომადგენელთა ჩართვა სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში და უზრუნველყოს, რომ სახელმძღვანელოების შეფასების „სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებთან შესაბამისობის კრიტერიუმები“ ცნობილი იყოს საგნობრივი ექსპერტებისთვისაც.
- » სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში განათლების სამინისტროს ექსპერტთა ჯგუფმა ითანამშრომლოს სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან, სახელმძღვანელოებში რელიგიის თემაზე არსებული ინფორმაციის სანდოობისა და სიზუსტის გადასამოწმებლად.
- » ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტმა, რელიგიის თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე, უარი თქვას საჯარო სკოლებში რელიგიის საგნის ამა თუ იმ ფორმით შემოღებაზე და რელიგიების შესახებ სწავლების კოპონენტი გააძლიეროს ისეთ საგნებში, როგორიცაა ისტორია და მოქალაქეობა.



## 7.4 უმაღლესი განათლება

უმაღლეს სასწავლებლებში აქტუალურია არადისკრიმინაციული და ტოლერანტული გარემოს არსებობა. უმაღლესი განათლების შესახებ კანონი ავალებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიმართ თანასწორ მოპყრობას (მუხლი 16.1 „დ“ ქვეპუნქტი) და კრძალავს რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით ყოველგვარ დისკრიმინაციას (მუხლი 3.2. „თ“ ქვეპუნქტი).

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ სტუდენტები, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს მიეკუთვნებიან, სწავლობენ ასევე უცხოელი სტუდენტები. ისინი ხშირად აწყდებიან დისკრიმინაციულ და გულგრილ დამოკიდებულებას როგორც თანატოლების, ასევე ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის მხრიდან.

### განთლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- » სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტმა ითანამშრომლოს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს სასწავლებლებთან, უმაღლეს სასწავლებლებში ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკისა და შესაბამისი ეთიკური კოდექსის დაცვის თაობაზე.
- » საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, მასწავლებელთა მომზადების აკადემიური პროგრამების შეფასებისას, შეიმუშაოს კრიტერიუმი, რომლის თანახმადაც მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში სავალდებულო გახდება კურსი, რომელიც, ერთი მხრივ, მომავალ მასწავლებელს მოამზადებს მრავალფეროვანი კლასის მართვის მიმართულებით, ხოლო, მეორე მხრივ, შესძენს შესაბამის ცოდნას რელიგიური მრავალფეროვნების შესახებ.

## 8. მრავალფეროვნების ასახვა, სიძულველის ენა, ანტიდასავლური პროპაგანდა და მედიის როლი

ბოლო წლებში არატოლერანტული, ქსენოფობიური გზავნილების დინამიკა მზარდია. სხვადასხვა კვლევით დასტურდება, რომ სიძულველის ენის წყაროებში პირველ ადგილს მედიის წარმომადგენლები იკავებენ.

ანტიდასავლური პროპაგანდის კვლევის<sup>47</sup> შედეგები ცხადყოფს, რომ მაგალითად, 2018 წელს, მზარდია სხვადასხვა ტიპის, მათ შორის, რელიგიური იდენტობის დაკარგვის საფრთხეზე ფოკუსირებული გზავნილები;

რელიგიური შეუწყნრებლობისა და სიძულველის ენის გავრცელების კონტექსტში, ერთი მხრივ, დასავლეთის დემონიზება, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთის, როგორც დასავლეთის ალტერნატივის პოზიტიურად წარმოჩენა, ტენდენციის სახეს იძენს.

რელიგიური საკითხების შესახებ მედიით გაშუქებული არასაკმარისი და არაკვალიფიციური ინფორმაცია, შეუწყნარებელი, ქსენოფობიური განწყობების გაძლიერებასა და, ამ კუთხით, უსამართლო სტერეოტიპიზაციას განაპირობებს.

მედიას აკისრია სოციალური პასუხისმგებლობა, რაც საკუთარი უფლებების რეალიზებასთან ერთად, საზოგადოებრივი ვალდებულებების გააზრებასაც გულისხმობს. ამ მხრივ განსაკუთრებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის პასუხისმგებლობის ხარისხი, რაც „მაუწყებლის შესახებ“ კანონის რამდენიმე მუხლითაა რეგულირებული.

**პრობლემა:** საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ წლების მანძილზე არსებობდა მოთხოვნა, შეესრულებინა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლი და, საზოგადოებრივი ინტერესებისა და მოთხოვნილებების წარმოდგენის მიზნით, შეექმნა საზოგადოებრივი საბჭოები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, საზოგადოების უშუალო მონაწილეობით შეიმუშაონ რეკომენდაციები საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ასეთი საბჭოები შეიქმნა, მნიშვნელოვანია, საზოგადოება მათი ეფექტიანი მუშაობის შედეგს ხედავდეს და მათი არსებობა მხოლოდ კანონის ფორმალურად შესრულების შთაბეჭდილებას არ ტოვებდეს.

**პრობლემა:** „მაუწყებლის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამებში უნდა ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება; კანონის ეს მოთხოვნები საზოგადოებრივ

47. მედიის განვითარების ფონდი, ანტიდასავლური პროპაგანდა, 2018. [http://www.mdf-georgia.ge/geo/view\\_research/169](http://www.mdf-georgia.ge/geo/view_research/169)

მაუწყებელზე მხოლოდ ნაწილობრივ სრულდება. მედიაში, ზოგადად, მწირია კვალიფიციური ინფორმაცია რელიგიებისა და იმ წვლილის შესახებ, რაც სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებმა შეიტანეს როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიო ისტორიისა და კულტურის განვითარებაში.

**პრობლემა:** მედიაში, მწირია მსჯელობა და ანალიზი ისეთ საკითხებზე, თუ რა უწყობს ხელს ქსენოფობიისა და სიძულვილის ენის გავრცელებას, ასევე, ამ კონტექსტში, ანტიდასავლური პროპაგანდის ტირაჟირებას და რა შეიძლება კეთდებოდეს ამ ტენდენციების შესამცირებლად.

### მედია ორგანიზაციებს:

- » რელიგიათა საბჭო აღიარებს, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნდამენტური უფლებაა, მოუწოდებს სახელმწიფოს, განუხრელად დაიცვას ეს უფლება და არ ჩაერიოს მედიის საქმიანობაში. ამავდროულად, რელიგიათა საბჭო მიიჩნევს, რომ მედიას აკისრია სოციალური პასუხისმგებლობა, შესაბამისად, მოუწოდებს მას, გაიზაროს იგი და იზრუნოს ეთიკური ნორმებისა და თვითრეგულირების სტანდარტების მაქსიმალურ დანერგვაზე: თავიდან აირიდოს დაუსაბუთებელი, დისკრიმინაციული, სიძულვილისა და სტერეოტიპების შემცველი, ყალბი ინფორმაციის ტირაჟირება და ანტიდასავლური პროპაგანდა.
- » რელიგიათა საბჭო მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭოებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სხვადასხვა კონფესიისა და ეთნიკური ჯგუფის უფრო ფართო და ეფექტიანი მონაწილეობა. ამავდროულად, არხმა უნდა უზრუნველყოს საჯარო მედიასივრცე სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების წარმომადგენლებისათვის, რათა მათ მიმდინარე მოვლენებზე საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მიეცეთ.
- » მაუწყებელზე უნდა მომზადდეს შემეცნებითი გადაცემები, რომლებიც რელიგიური ტოლერანტობის განვითარებას შეუწყობს ხელს და დემოკრატიულ გარემოში რელიგიური მრავალფეროვნების, ტრადიციებისა და რელიგიის თავისუფლების პრინციპების შესახებ საზოგადოების ცნობიერებას აამაღლებს

